

ტარიელ ფუტკარაძე

მესხეთიდან დეპორტირებულთა
თვითაღქმა

იანეთში ჩასახლებულ პირთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით

The Identity of Repatriates
from Meskheti

არტანუჯი
2005

This research, carried out in the Ianeticomunity, tells a tragic story that should teach us how to live peacefully together!

Published within the frame of The European Commission funded the micro project (European Initiatives for democracy and Human Rights) to establish a "Social Integration Center for Meskh repatriates"

გამომცემლობა „არტანუჯი“

T. Putkaradze

ISBN -99940-11-88-X

სარჩევი

წინასიტყვაობა	5
ფიქრი დიდი ტკივილის მიზეზის ძიებისას	8
ამჟამინდელ მესხთა წინაპრები (მუშქები, მოსხები; დაიანელები, ტაოხე-ბი)	9
მესხეთის პირველი დიდი ტრაგედია - ქრისტიანთა დევნა	14
მესხეთის მეორე დიდი ტრაგედია - მუჰაჯირობა	16
მესხეთის მესამე ტრაგედია - მუსლიმანების მიერ მართლ-მადიდებელ ქრისტიანთა ამოწყვეტა	18
მესხეთის მეოთხე ტრაგედია - რუსეთის იმპერიის მიერ მუსლიმანთა გასახლება	19
როგორ შევძლოთ თანაცხოვრება?	21
იანეთის მე-9 უბანში შევსებული კითხვარის შედეგები	24
როგორ ცხოვრობენ იანეთში დღეს, რას ვაკეთებთ ჩვენ?	30
იანეთელ რეპატრიირებულთა მეტყველების ნიმუშები	
ქართული	33
თურქული	38
რუსული	39
ნაშრომის მოკლე ინგლისური ვარიანტი	40

ამ წიგნში
მოთხრობილია
ტრაგიკული ისტორია,
რომლისგანაც დღეს მაინც უნდა
ვისწავლოთ მშვიდობიანი თანაცხოვრება!

იბეჭდება ევროკომისიის მიკროპროექტების პროგრამის
ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისათვის
ფარგლებში დაფინანსებული პროექტის
მესხი რეპატრიანტების სოციალური ინტერგრაციის ცენტრი
გეგმით

წინასიტყვაობა

სამცხე-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთთან - საქართველოს ამ ძირძველ კუთხეებთან ჩემი დაახლოება სტუდენტობიდან იწყება: ჯერ ექსკურსიები (1978-80), შემდეგ ოთის საველე სამუშაოებში მონაწილეობა (1981), საფარის სამონასტრო კომპლექსის აღდგენისთვის სტუდენტთა ექსპედიციის ხელმძღვანელობა (1982)...

ასპირანტობის წლებში პირველი დისერტაციის ("სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლური კილოების - სამცხურის, ჯავახურის, იმერხეულის, გურულის, აჭარულის - მიხედვით") წერის პროცესში (1983-86) სოფელ-სოფელ ვიწერდი მესხებისა და ჯავახების თავგადასავალს, ფოლკლორს, სიმღერებს, თქმულებებს, ტოპონიმებს; ზოგჯერ ვხვდებოდი სტუმრად ჩამოსულ იმერხეველ რესპოდენტებსაც...

ამ უძველესი ქართველური კუთხის წარსული თქმულება-ლეგენდებისა და გადმოცემების სახით კარგადაა შემორჩენილი ხალხის მეხსიერებაში. მთქმელ-ინფორმატორები განსაკუთრებ-ული სიცხადით ჰყვებოდნენ ბოლო მძაფრი ამბების - **1918-19 და 1944 წლების ტრაგედიების** - შესახებ... ჩემი ბავშვურ-სტუდენტური წარმოდგენა რუსთველურ-ჰეროიკულ-მწიგნობრული მესხეთის შესახებ ნელ-ნელა ტრანსფორმირდა საქართველოს ამ მხარის მოსახლეობის ქარიშხლოვანი ტრაგედიის ტკივილიან განცდად...

1990 წელს მერაბ ბერიძესთან ერთად თბილისიდან გადავსახლდი ახალციხეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის დასაარსებლად. მიზანი დიდი გვექონდა - **მესხეთის კულტურული სახის აღორძინება**. წარმატებულადაც დავიწყეთ, მაგრამ 1992 წელს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობით მთელ საქართველოში დატრიალდა **ტრაგიკული ქარბორბალა**; მეც დევნილად ვიქეცი თბილისიდანაც და ახალციხიდანაც; ქუთაისმა შემიფარა: პროფ. მაგალი თოდუამ, როგორც ქართველური დიალექტების სპეციალისტი, დიალექტოლოგიის ინსტიტუტში სათანამშრომლოდ მიმიწვია და ავაზაკთა დევნისგან დამიცვა... **იმერეთში** - საუკუნეების მანძილზე ქართველ ხიზანთა გაუცემელ თავშესაფარში - ვიპოვე **პატარა მესხეთი**: აქ დამხვდნენ მესხეთიდან თურქობას გამორიდებული ლომსიანიძეები, ჯავახაძეები, ბერიძეები, მესხიები და სხვ. აქვე იყო ქართველ კათოლიკე მესხთა დასახლება სოფელ კუხში და "მუსლიმან მესხთა დასახლება" **სოფელ იანეთში** - სამტრედიის რაიონში, ქუთაისთან ახლოს.

განსაკუთრებული თანადგომა სჭირდებოდათ სოფელ იანეთის ერთ-ერთ უბანში ახალჩასახლებულ ადამიანებს, რომლებიც **1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გადაასახლეს შუა აზიაში, ხოლო 80-იან წლებში საქართველოში დააბრუნეს**: საქართველოს სხვა პატიოსან მოქალაქეთა მსგავსად, ეკონომიკურად მათაც უჭირდათ, მაგრამ რეპატრიანტთა უფრო არსებითი პრობლემა იყო გაუცხოება - **მიტოვებულობა ყველასგან**. ამგვარი მიუსაფრობის მიზეზს არ წარმოადგენდა მხოლოდ პოსტპუტჩურ საქართველოში არსებული ქაოსი: XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ახალჩამოსახლებულთა შესახებ დამხვდურთ არ ჰქონდათ გამოკვეთილი წარმოდგენა, კერძოდ, ზოგი მათგანი რეპატრიირებულ ქართველთაც **თურქებს/თათრებს** ეძახდა, ზოგი კი დეპორტირებულ ეთნიკურ (თუ

თვითადიარებულ) თურქსაც “რატომდაც“ ქართველად თვლიდა. არც მესხეთიდან დევნილთა დიდი ნაწილის განცხადებები იყო სასაქართველოო...

ამ პერიოდშივე აქტიურად დამკვიდრდა საოცრად ულოგიკო ტერმინი **თურქი-მესხი**. არადა, გასახლებულთა ნაწილი მართლაც იყო ქართველი, ნაწილი - თურქი, ნაწილი - მუსლიმანი სომეხი, თათი, ქურთი და ა.შ...

მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავლებიც რამდენიმე ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: ქართველებად, თურქებად, ზოგადად, სამშობლოდაკარგულებად.

საქართველოში დაბრუნებულთა უმრავლესობასაც არ ჰქონდა გამოკვეთილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება; კერძოდ: **რეპატრირებულთა დიდ ნაწილის თვითაღქმა გაორებული** იყო; საქართველოში ჩამოსახლებულთა მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა საკუთარი ქართველური წარმომავლობა და თავს საქართველოს **რესპუბლიკის პატრიოტად** აღიქვამდა ქრისტიან მესხთა, აჭარელთა, მეგრელთა, სვანთა, კახელთა, ფხოველთა, იმერელთა თუ სხვა ქართველთა მსგავსად...

ჩვენს რესპოდენტებს - იანეთში ჩამოსახლებულ პიროვნებებს - რუსეთში, თურქეთსა და აზერბაიჯანში დამკვიდრებულ **თანამობედეთა** უმრავლესობისგან განსხვავებით, თავი ქართველებად მიაჩნიათ, მაგრამ, ქართულის არცოდნისა თუ სხვა ფაქტორების გამო, ბევრს მაინც გაორებული თვითაღქმა (იდენტობა) აქვს; ასაკოვანნი ხმამაღლაც ამბობენ:

_ არ ვიცი, ვინა ვართ და რა ვქნათ!

ერთი სიტყვით, სხვა დროს დევნილთა მსგავსად, ავბედობამ მესხეთიდან დეპორტირებულთაც წაართვა საკუთარი ისტორია...

ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს თავისი წარსული, ამიტომ, ჩვენ, ვისაც ხელგვეწიფება, ვალდებულნი ვართ, საქართველოდან სხვადასხვა დროს დეპორტირებულ-დევნილთ მივაწოდოთ სამეცნიერო ასპარეზზე დაგროვილი ცოდნა, რომელიც დაუბრუნებს მათ ეროვნულ-კულტურულ მეხსიერებას (ნებისმიერ პიროვნებას შინაგანი წონასწორობისთვის სჭირდება თავისი **ეთნო-კულტურული მეობის გაცნობიერება**). **აკადემიური** საინფორმაციო ბაზის მოსამზადებლად, აუცილებელია, საქართველოს, თურქეთის, რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის და სხვა ამჟამინდელ სახელმწიფოთა ხელისუფლებების თუ სამეცნიერო წრეების ინტენსიური თანამშრომლობა. მისასალმებელია, რომ, **ქართველური კულტურული მემკვიდრეობის** აღნუსხვა-შესწავლის მიზნით, ქართველებთან შემხვედრ ნაბიჯებს დგამს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა - **თურქეთი**.

P.S. წარმოდგენილ ნაშრომში მითითებული წყაროები და ლიტერატურა ვრცლად მოცემულია ჩემს წიგნში ქართველები (თბ. 2 005).

ფიქრი დიდი ტკივილის მიზეზის ძიებისას

მეზობელი თუ დამეზობლებული ეთნოსები; სახელმწიფოების საზღვრების გადასინჯვის სისხლიანი პროცესები...

მოსულნი მარცხდებიან ან იფართოებენ გავლენის ველს, შესაბამისად, ხდება ავტოქთონთა გაძლიერება თუ განდევნა-მოწყვეტა წინაპართა ფესვებისგან. ხშირად, შიმშილით თუ სიცივით სიკვდილი ან უცხოეთში გარდაცვალება; ზოგჯერ: **რეპატრიაციის რთული პერიოდი...**

დამხვედურზე არანაკლებ გაუსაძლისში ცხოვრობენ მომხდური ეთნოსების წარმომადგენელი უბრალო ადამიანებიც...

ნუთუ ასე რთულია უსისხლო და უკონფლიქტო თანაცხოვრება? რატომ კლავენ და ავიწროებენ ადამიანები ერთმანეთს, დედამიწა ხომ კიდევ დიდხანს დაიტევს გაცილებით მეტსაც? რა არის მიზეზი ადამიანთა უფლებების ამ საშინელი დარღვევებისა?

პასუხი ერთია:

მაღაუფლების მქონეთა ან მოსურნეთა იმპერიული (მომხვეწლური) ინტერესები! არადა:

იმპერიული აზროვნება და უღვთო გზით სწრაფვა ბოროტების მომტანია არა მხოლოდ დასაპყრობი/დაპყრობილი, არამედ თავად დამპყრობელი მოსახლეობისთვისაც/ინდივიდისთვისაც; მაგალითად, ლენინის ამბიცია ტრაგედიად მოევლინა რუსეთის იმპერიას (საბჭოთა მოდელის ძერწვამ დეგრადაციის საფრთხის წინაშე დააყენა რუსული კულტურა), ჰიტლერისა - გერმანიას, სადამისა - ერაყს და სხვ.

ევროპულ-აზიური კულტურების შეხვედრებისა და გეოპოლიტიკურად სტრატეგიული კავკასიის ცენტრში არსებულ საქართველოს ყველა მოძალადე ეტანებოდა; ქართველობამ საუკუნოვან მუდმივ ბრძოლებში შეძლო თავისი დიდი სამწიგნობრო ენის, კულტურისა და ტერიტორიის ნაწილის შენარჩუნება, მაგრამ რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი ადამიანი გაუბედურდა...

ქართველთა და სხვა ეთნოსთა ტრაგედიები განსაკუთრებულად მძაფრი იყო ევრაზიული სივრცის სტრატეგიულ ველში - მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში - ისტორიული საქართველოს ცენტრალურ რეგიონში - მესხეთში.

ამჟამინდელ მესხთა წინაპრები

შუა საუკუნეებში მესხეთი მთელი სამხრეთ საქართველოს სახელი იყო; ისტორიულ მესხეთში შედიოდა: სამცხე, ჯავახეთი, აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ერუშეთი, ჭანეთი, ლაზეთი, ლივანა, მაჭახელი, კოლა, იმერხევი, ორივე ტაო...

მესხთა წარსულთან დაკავშირებით, საინტერესოა მუშქებისა და დაიანელების ისტორია, რომელიც, ძველი ასირიული, ურარტული, ბერძნული, ლათინური, ქართული და სხვ. წყაროების მიხედვით, ასე წარმოჩნდა:

მუშქები, მოსხები, მოსხიკეს მცხოვრებლები, მესხები

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ძვ.წ. XIII-VII საუკუნეების ასურულ ლურსმულ წყაროებში მოხსენიებული მუშქები, ბიბლიური მოსოქ-/მოსოხ-მეშებ- სახელწოდებები (შესაქმე, X 2 , 2 2 -3 2), ბერძნულ-რომაული ტექსტების მოსოხები, ძვ. წ. ივ საუკუნეში არსებული სახელმწიფო მოსხიკე (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ.2 2 ; ივ.ჯავახიშვილი, 195 0, გვ.18; ნ.ხაზარაძე, 1998, გვ.177; ნ.ხაზარაძე, 2 001, გვ.2 73 ; შდრ., ი.დიაკონოვი, 1984) - მოსხების/მესხების ქვეყანა, “ქართლის ცხოვრების“ არიან ქართლი და ქართველთა ერთი ჯგუფის აღმნიშვნელი თემონიმი მესხი

ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია; კერძოდ, ისინი მიემართება ქართველურ მოდგმას, რომლის განსახლების (თუ მოძრაობის) ძირითადი ტერიტორიაა ზემო ევფრატისპირეთი (ძვ.წ. XII- ს.), კაბადოკია, ჰალისის შუა დინების სამხრეთი (ძვ.წ. VIII ს.), პონტოს ტერიტორიის ნაწილი და, ბოლოს, სამხრეთ-დასავლეთი ამიერკავკასია.

შდრ.: “ფეოდალური ხანის ნომენკლატურით, მოსხების ქვეყანა მოიცავდა: სამცხეს, ჯავახეთს, კლარჯეთს, აწარას, ეგრისს, შავშეთს, კოლა-არტაანს, ამიერ და იმირ ტაოს, ბასიანს, სპერს, ანუ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს“ (მსჯელობისა და ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ნ.ხაზარაძე, 1984 , გვ.36-70; გრ.გიორგაძე, 1985 ; გრ.გიორგაძე, 2002).

ძვ.წ. XII საუკუნეში (1165 წელს) ზემო მესოპოტამიაში გამოჩენილი მუშქები ე.კავენიაკმა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებიდან ჩამოსულებად მიიჩნია (გ.მელიქიშვილი, 1965 , გვ.22); ნ.ხაზარაძის აზრითაც, “მუშქები, აბეშლაელების მსგავსად, ჩრდილოეთიდან უნდა გავრცელებულიყვნენ სამხრეთისაკენ ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ (ნ.ხაზარაძე, 2002 , გვ.124); მკვლევრის ვარაუდი ეფუძნება იმას, რომ ხეთურ ლურსმულ ტექსტებში მუშქები არ არიან მოხსენიებული.

ჩვენი აზრით, სავსებით დასაშვებია, რომ მუშქთა წინაპრებად მოვიაზროთ ხათებსა და ხურიტებს შუა მოსახლე, მათივე მონათესავე ქართველურ-კავკასიური მოდგმა.

ბერძნულ წყაროებში მოსხების ტომი პირველად ნახსენებია ძვ.წ. ვი ს. ბერძენი მწერლის - ჰეკატაოს მილეტელის მიერ; მისი მოწმობით, მოსხები კოლხური ტომია (ჩვენი აზრით, აქ კოლხური ქართველურის სინონიმია - ტ.ფ.); ისინი ცხოვრობდნენ მითანის მეზობლად - მესოპოტამიის ჩრდილოეთით, ანდა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (თ.ყაუხჩიშვილი, 1976 , გვ.43-44).

ჰეროდოტეს (ძვ.წ. ვ) მიხედვით, მოსხები კოლხებთან (აქ უკვე, კოლხები ერთ-ერთი ქართველური ტომის სახელია - ტ.ფ.), სასპირებთან, ხალიბებთან (ქალიბებთან), მაკრონებთან, ტიბარენებთან, მოსინოიკებთან და მარებთან ერთად ცხოვრობდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთით შავი ზღვის აღმოსავლეთ თუ სამხრეთ სანაპიროზე სპარსეთის მეფე დარიოს ი (ძვ.წ. 524-485) დროს (იხ. ჰეროდოტე, 1976 , გვ.634 ; თ.ყაუხჩიშვილი, 1976 , გვ.47, 660).

სტრაბონის (ძვ.წ. 64 - ახ.წ. 24) მიხედვით, მოსხები ცხოვრობენ ამჟამინდელ დასავლეთ საქართველოში - შავი ზღვის სანაპიროზე კოლხების გვერდით, ჰენიოხებისა და კერკეტების სამხრეთით (საკითხის მიმოხილვისათვის იხ., გ.ქავთარაძე, 1985 , გვ.82-86); სტრაბონისვე ცნობით, ადრინდელი მოსხური ქვეყნის ერთი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე - იბერებს და მესამე - არმენიელებს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976 , გვ.140-145).

იოსებ ფლავიოსის აზრით (37-95), მოსოხენები დაფუძნებულნი არიან მოსოხის მიერ და “ახლა მათ კაბადოკიელები ეწოდათ; კაბადოკიელთა ეს ძველი სახელი შემორჩენილია მათი დედაქალაქის სახელად, რომელიც არის მაზახა“ (იოსებ ფლავიოსი, 1987, გვ.103).

ევსტათი ანტიოქელთან (280-360) კაბადოკიელთა წინაპრებად დასახელებულია მესხენები, მათ ეთნარქად კი - ოსოხი (გეორგიკა, 1961, გვ.34). ორი საუკუნის შემდეგ კი პროკოპი კესარიელი მესხთა (მესხთა) საცხოვრისად მიიჩნევს იბერიის გასწვრივ არსებულ მთებს (გეორგიკა, 1965 , გვ.127).

სტეფანე ბიზანტიელთან (IV-VII) დადასტურებულია ეთნონიმი მოსხი; იგი, მიჰყვება რა სტრაბონს, მოსხებს ასახელებს კერკეტების ზემოთ (ე.ი. სამხრეთით - ტ.ფ.).

XI საუკუნის მოღვაწე ლეონ გრამატიკოსი უცვლელად იმეორებს წინა თაობების ისტო-რიკოსთა მოსაზრებებს და იაფეტის შვილად მიჩნეულ **მესხოსისგან** მომდინარედ მიიჩნევს მესხებს, რომელთაც ახლა კაზადოკიელები ეწოდებათ... (გეორგიკა, 1963, გვ.3-4).

დროთა განმავლობაში მესხთა განსახლების ველი ვიწროვდება ოდენ სამხრეთ საქართველოთი.

მოსხ-/მესხ-/მესხ- ტერმინთან დაკავშირებით, საინტერესოა ჩრდილოკავკასიურ ენათა მონაცემებიც:

პ.უსლარისა და ა.დირის ცნობებით, დაღესტნურ ენათა სამყაროში **ქართველების აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს - მოსოქი/მუსექი**; იგი მიემართება, აგრეთვე, წოვათუმებსაც (გ.ბურჭულაძე, ბ.შავხელიშვილი, 1993, გვ.325).

ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ამჟამინდელი ქართლის მოსახლეობა ძველი მესხებისაგან მომდინარეობს; ამის კიდევ ერთი არგუმენტი ჩანს ტოპონიმ **მესხ-** ფუძის, **მცხეთისა** და ქორონიმ **სამცხის** მიმართება: *მესხთა > მცხეთა; *სამესხე > სამცხე (ლიტერატურის მიმოხილვისა და განსხვავებული მსჯელობისათვის იხ. გ.ბედოშვილი, 1981).

შდრ.: ი.ზიცარის აზრით (ი.ზიცარი, 1998): მეს-ხ- > ვესკ > ბასკ- (ბასკი); **ბასკ-** ფუძის ამგვარი ეტიმოლოგია საინტერესოა, ამავე დროს, დამატებით არგუმენტებს მოითხოვს.

ვარაუდობენ, რომ მესხ-, მოსხ- მუსხ- ფუძეები ქართველური დიალექტური ვარიანტებია; მათთვის ამოსავალი შეიძლება იყოს *მას- ძირი:

თ.მიქელაძის დაკვირვებით, ბერძნულ მითოლოგიაში კოლხების **ეთნარქი კოლხი ფასისის შვილად არის მიჩნეული**, ფასისი კი წყლის ღვთაებაა (თ. მიქელაძე, 1955, გვ.33-34); შდრ.: წყლის ძველი ღვთაება **ფასი/ფასისი, მას-ის მთა** - არარატის ძველი სახელი, **ბას-იან-ი** და **ფას-ის-ი** - ჭოროხის ძველი სახელი). მეს-ხ- ფუძეში ხ- უნდა იყოს ხურიტულ-ურარტულ-კავკასიური სუფიქსი, რომელიც კრებითობა-წარმომავლობას გამოხატავს.

სამეცნიერო დებულებები ხშირად საკამათოა, მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ **მოსხები/მესხები ერთ-ერთი ძველი ქართველური ტომის სახელია**, რომელიც მეზობელ თუ არამეზობელ ხალხთაგან ისტორიის ერთ მონაკვეთში განზოგადებული იყო “ყოველთა ქართველთა“ სახელად.

დაიანელები, დიაუხელები, ტაოხები, ტაოელები

ძვ. წ. XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ ტექსტებში მოხსენიებულია **დაიანის ქვეყანა**; მკვლევრები ამ სახელწოდებას უკავშირებენ ურარტული ლურსმული ტექსტების **დიაუხს**, ბერძნული წყაროების **ტაოხოსის**, ძველი სომხური წყაროების **ტაიქს** და ისტორიული საქართველოს ერთ კუთხეს - **ტაოს** (ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. გრ.გიორგაძე, 2002); ვარაუდობენ, რომ ეს იყო ძლიერი ქართველური ტომი (შდრ.: გ.მელიქიშვილი, ი.დიაკონოვი და სხვ. დიაოხის მოსახლეობას ხურიტულენოვნად მიიჩნევენ), რომლის მეფე სენზე გამარჯვებითაც საგანგებოდ ტრაზახობდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (1115-1077).

დაიანელები/ტაოხები/ტაოელები ცხოვრობდნენ თორთუმის, ევფრატისა და მტკვრის სათავეებში; ჩანს, დიაოხის დედაქალაქი **შაშილუ (შაშილო/სასირო)** მდებარეობდა მდინარე თორთუმის ზემო წელში, ცნობილი თორთუმის ციხის გარშემო (გ.ქავთარაძე, 2005, გვ. 13-18).

ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროების ტაოხები პირველად დასტურდებიან ქსენოფონტესთან (ძვ. წ. V-IV ს.ს.): “ტაოხები, რომლებიც ცხოვრობენ მერმინდელ ოლთისის ოლქში, სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებიან და ხალიზებთან ერთად სპარსელი სატრაპის - ტირიბადის - მოქირავნეები არიან“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1976 , გვ.5 2). მოგვიანებითაც, მაგ., სტეფანე ბიზანტიელიც (IV-VII ს.ს.) ტაოხებს შიდა პონტოში მოსახლე ტომად თვლის; მისი ცნობით, “ზოგიერთები მათ ტაოელებსაც ეძახიან, როგორც ამბობს სოფანეტე თავის “ანაბაზისში“ (გეორგიკა, 193 6 , გვ.2 84).

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთთან გაიგივებულ-ია ტაო და აია; ძველი ბერძნების ცნობით კი, აია იგივე კოლხეთია; იხ., მაგ., ჰეროდოტე: არგონავტები “მიცურავდნენ ა-აში, კოლხიდაში, საწმისისათვის“; “მოვიდა ეს კიტისოროსი ა-აკოლხიდიდან და გაათავისუფლა იგი“... (ჰეროდოტე, 1975 , გვ.4 72 -4 73); ამავე აზრს იმეორებს აპოლონიოს როდოსელიც თავის "არგონავტიკაში“. შესაბამისად, ლოგიკურია თ.მიქელაძის აზრი, რომ დაიაენი შეიძლება იყოს იგივე აია; შდრ., აია და ხაიასა (შემდგომი სუხმის ქვეყანა) გაიგივებული აქვს გ.ჰიუსინგს (საკითხის ისტორიისათვის იხ.გ.ქავთარაძე, 1985 , გვ. 16 1, 16 3 ; გ.ქავთარაძე, 2 005). სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა მონაცვლეობის, აგრეთვე, მათი დაკარგვის თვალსაზრისით, საყურადღებოა სხვა კავკასიურ-აღმოსავლეთანატოლიურ ტერმინთა ვარიანტებიც: ხალიზი/ალიზი, ხაზარენი/ოზარენი, ხარიმატი/არიმატი ქალზევანი/ალზევანი, ტაპირი/აპირი, ტორეტი/ორეტი, თუნი/უნი, ვარდციხე/*არდციხე, *ვარდია/ვარძია (მაგალითები მოიძია გ.ქავთარაძემ; იხ. 1985 , გვ. 5 3 -5 8); შდრ., აგრეთვე: ხალდი/არდი /ქალდი/ქართი, *არდია /ქალდია, *ქვარდია/ვარძია, ოლთისი/*ქორთისი, აია, დაია-ენი და ხეთური წყაროების ხაია-სა (შდრ.: -სა და -ის-: შინდ-ის-ი)...

შენიშვნა: დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. ი ს.), რომელიც ქსენოფონტეს ტექსტს მიჰყვება, ტაოხების ნაცვლად ახსენებს ხაებს: კარდუხები, არმენიელები, ხაები (ე.ი. ტაოხები), ფასიანები, ხალდები, სკოტინები, მაკრონები, კოლხები, მოტვინოიკები, ტიბარენები (თ.ყაუხჩიშვილი, 1976 , გვ.12 4); შდრ., ჰეკატაოს მილეტელი (ძვ.წ. 5 4 9-4 72) მოსხებსა და ბექერებს შორის ასახელებს ხოებს; რიზეს მახლობლად მცხოვრებ ხოებს ჩვეულებრივ ტაოხოშ შერყვნილ ფორმად მიიჩნევენ, მაგრამ, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, მათი საცხოვრისი იმდენადაა დამორებული ტაოხების ქვეყანას, რომ ხოებისა და ტაოხების იდენტიფიკაცია გაჭირდება (თ.ყაუხჩიშვილი, 1976 , გვ.4 4).

ძველი კოლხური არქეოლოგიური კულტურის განფენის ველი (ჰალისის, ჭოროხის, მტკვრის ზემო წელის, ლიახვის ხეობები და დასავლეთი საქართველო) და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი კვლევები საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან კერასუნტის რეგიონში, ჰალისისა (კიზილ-ირმაკის) და ჭოროხის აუზებში, თანამედროვე დასავლეთ საქართველოსა და მტკვრის ზემო წელის მხარეებში ძირითადად მესხურ-კოლხური ტომებისგან ჩამოყალიბდა ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის თავდაპირველი ბერძნული სახელი იყო აია (შდრ.: აიეტი; შდრ., აგრეთვე: დაიაენი, ტაო), გვიანდელი კი - კოლხიდა.

წინარეისტორიული პერიოდი მეცნიერული და ლოგიკური დაშვებების სფეროდ რჩება, თუმცა საქართველოს ისტორიის ზოგადი კონტურები ეწვს არ იწვევს:

ქართველთა დიდ წარსულში სხვადასხვა სახელმწიფოებ-რივი გაერთიანება არსებობდა; ლიდერი ხან ერთი კუთხე იყო, ხან - მეორე. დადასტურებულად უნდა

ჩავთვალოთ, რომ ქართველთა წინაპრები კავკასიასა და ანატოლიაში იყვნენ განფენილნი, ხოლო ქართველთა ცნობილი პირველი დიდი სახელმწიფო მტკვრისა და ჭოროხის **სტრატეგიულ ხეობებშია და ამჟამინდელ მესხთა წინაპრების სახელს უკავშირდება.**

...ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დასასრულს **გრიგოლ ხანძთელის** საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეობითა და ქართველი კუროპალატების დიდი მეცადინეობით, ისევ ისტორიული მესხეთიდან დაიწყო ქართველთა სამწიგნობრო ენის, დიდი ქრისტიანული კულტურისა და ძლიერი სახელმწიფოს აღორძინება. ქართველი ერის ყველაზე დიდი პოეტი და ქართული სიტყვის **ღვთივკურთხეული შემოქმედი შოთა რუსთველიც** მესხი იყო; მართლმადიდებელი ბერების მიერ ამ დროს ძალუმად ახმიანდა კლდეში გამოკვეთილი ქალაქი ვარძია და აიგო მრავალი სხვა კულტურული ძეგლი ქართველთა დიდი ისტორიისა.

XIII-XIV საუკუნეებში - თავისი ბრწყინვალეების ბოლოს, საქართველოს განაპირა კუთხედ ქცეული მესხეთი, დღევან-დელთან შედარებით, მაინც შთამბეჭდავად დიდი და ძლიერია: “მესხეთის მთავრის განსაგებელი იწყებოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუ-ქალაქამდის (ერზურუმამდე - ტ.ფ.) აღწევდა“ აკად. ივ.ჯავახიშვილი, პროფ. პ.სურგულაძე, პროფ. ლისტი, 1989, გვ. 4 5 -4 6).

მესხეთის პირველი დიდი ტრაგედია - ქრისტიანთა დევნა

მესხეთის მიწაზე ადრეც ბევრი სისხლი დაღვრილა, მაგრამ ათვლას საქართველოს **ოქროს ხანიდან** ვიწყებთ: XVI-XVII საუკუნეებში ისტორიული მესხეთი სპარსელებისა და თურქების ბრძოლის ეპიცენტრი იყო; საქართველოს ერთიანობას დიდად ავნო მესხეთის მმართველების - **ჯაყელების** - სეპარატიზმმაც. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალოებმა კონტროლი დაამყარეს სამცხე-საათაბაგოს სამთავროზე და საქართველოს ამ ისტორიულ მიწა-წყალს “გურჯისტანის ვილაეთი“ დაარქვეს; დაპყრობილი რეგიონის ზუსტი აღწერაც ჩაატარეს: 15 95 წელს შედგენილი “გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“ საყურადღებო დოკუმენტია მეცნიერებისათვის; კერძოდ, “დავთარის“ მიხედვით, ირკვევა, რომ 15 95 წელს სამცხე-საათაბაგოში **12 73 8 კომლია**, ამათგან **12 3 3 9** არის **ქართველი ქრისტიანი**; მაგ., 15 95 წლის აღწერის მონაცემებით, მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ: სხვილისში, ვარევანში, ტურცხში, ბურნაშეთში, აზავრეთში, კარტიკამში, აბულსა და სხვ. (ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 2 002 , გვ. 3 4).

დასუსტებული საქართველო ვერ ახერხებს მესხეთის დაბრუნებას, მაგრამ სპარსეთიც ამაოდ ცდილობს, თურქეთს წაართვას ქართველთა ეს ტერიტორია:

სოფელ ზოჰაბში 16 3 9 წლის 18 მაისს ირანსა და თურქეთს შორის დადებული ზავით, მესხეთი თურქეთს დარჩა; მესხეთმა, როგორც “საქართველოს ყველაზე **მოწინავე კუთხემ**, არსებობა შეწყვიტა“ (მ.რეხვიაშვილი). ამის შემდეგ დამპყრობლები უფრო წარმატებით ავიწროებენ, დევნიან, კლავენ ერთიანი საქართველოსთვის მებრძოლ თავად-აზნაურებსა და გლეხებს. ქართველების ხანგრძლივი წინააღმდეგობით გამწარებული ოსმალოები განსაკუთრებული სისასტიკით მართლმადიდებლებს ანადგურებენ. ამ დროს საქართველოს სხვა კუთხეებს შეაფარეს თავი ავალიშვილების, გოგორიშვილების, ბერიძეების, ლომსიანიძეების, მესხაძეების, მესხელების, მესხების, მესხიების, მესხიშვილების, მუსხელიშვილების,

ციციშვილების, ჯავახაძეების, ჯავახიების, ჯავახიშვილების... წინაპრებმა. ქართველთაგან **დაცარიელებულ სოფლებში** ოსმალოები ასახლებენ მომთაბარე **თურქებს, თათებს, თარაქამებს**; ადგილზე დარჩენილი ქართველობის ნაწილშიც ჯერ ცეცხლითა და მახვილით, მოგვიანებით კი, ეკონომიკური შეღავათების გზით, მაჰმადიანობას ამკვიდრებენ. ქართველთა ნაწილი მაინც ინარჩუნებს მართლმადიდებლობას...

მე-18 საუკუნეში მესხეთის კრიზისი ღრმავდება: მუსლიმანობის გავრცელებით იზღუდება საეკლესიო ცხოვრება და მრევლი; შესაბამისად, ვიწროვდება ძირძველი ქართული სამწიგნობრო ენის გავლენის ველი... ფაქტობრივად, თურქებისვე ხელშეწყობით, **ეკლესიაში ქართულს ენაცვლება სომხურიც: რომის რიდით**, ოსმალოები კათოლიკეებს არ ერჩიან, ამიტომ ქართველთა ერთი ნაწილი კათოლიკე ხდება; მაგ., **ჟაკ ფრანსუა გამბას** ცნობით, 182 0-182 4 წლების ახალციხის მხარეში (უდე, არალი, ხიზაბავრა, ივლიტა, წყრუთი, ვალე, აბასთუმანი, ხერთვისი...) 5 00 კათოლიკე ოჯახია; მათ ორი ეკლესია აქვთ და ექვსი მღვდელი ემსახურება; **ღვთისმსახურება სომხურ ენაზე წარმოებს** (ჟ.ფ.გამბა, 1987, გვ. 2 6 5).

ისტორიულ წყაროებს/დოკუმენტებს ეთანხმება XIX საუკუნის კოლა-არტაანსა და ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა მონათხრობი, რომელიც ჩაწერილია ზაქარია ჭიჭინაძის მიერ საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეებში მოგზაურობის დროს; კერძოდ, ზ.ჭიჭინაძე წერს:

“ოლთელნი და არტაანელნი ამბობენ, რომ არტაანის ქართველებში გამუსლიმანება სწორედ იმ დროს დაწყებულა, როცა მუსლიმანობა ოლთისკენ დაწინაურებულა და გავრცელებულა. ამიტომ მთელმა არტაანმაც ბევრად ადრე მიიღო ისლამიო, ვიდრე შავშელ და აწარელთაო. ამ გარემოებას დიდად ხელს უწყობდა ისიც, რომ ყარსის (კარი) თემის ქართველებში მუსლიმანობა ერთობ მალე გავრცელდა, ვინც ეს არ იწამა, იმას გადასახლება უხდებოდა, ოსმალოს მთავრობა გადასახლებულთა ადგილებზედ ასახლებდა **ბერძნებს, სომხებს, ქურთებს და თათრებს**“ (ზ.ჭიჭინაძე, “ქართველთა გამუსლიმანება, 2 004 , გვ. 114).

მესხეთის მეორე დიდი ტრაგედია - მუჰაჯირობა

კავკასიაში დაწყებული რუსეთ-თურქეთის ომების დროს მესხეთში გადარჩენილ ქრისტიან **ქართველებს არცერთი დამპყრობელი არ ენდობა**, რუსების მხარეს იბრძვიან სომხები, ხოლო თურქებისა - ეთნიკური თურქები და გამაჰმადიანებული მოსახლეობის ნაწილი. თურქეთის დამარცხების შემდეგ 182 9-3 0 წლებში ახალციხის საფაშოს რუსეთი იერთებს; თურქობის გამო, მესხეთიდან იმერეთსა და ქართლში ადრე გაქცეული მესხი თავად-აზნაურები (ციციშვილები, ავალიშვილები, მუსხელიშვილები, გოგორიშვილები...) პასკევიჩს წარუდგენენ მემკვიდრეობის დოკუმენტებს და სთხოვენ მამულების დაბრუნებას, მაგრამ იმპერიის ხელისუფლებასთან კონსულტაციის შემდეგ პასკევიჩი არა მხოლოდ მათ, არამედ ადგილზე დარჩენილი ბეგების მიწებსაც კი სახელმწიფო საკუთრებად აცხადებს და მუსლიმან ქართველთაც აიძულებს, სამუდამოდ დატოვონ წინაპართა მიწა; ამ პერიოდში რუსეთის იმპერიამ პასკევიჩის, პოტიომკინის, ზავილეისკის, ბებუთოვისა და სხვათა აქტიურობით, შეავიწროვა და 192 8-2 9 წლებში საქართველოდან წასვლა აიძულა ათიათასობით მუსლიმან ქართველს; 183 0 წელს, პასკევიჩისა და სომეხი ეპისკოპოსების მოლაპარაკების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის

თავად-აზნაურთა მიწებსა და მუჰაჯირ ქართველთა სახლ-კარში დასახლდნენ ერზურუმიდან აყრილი სომხები (შ.ლომსაძის ცნობით, დაახლოებით 5 000 ოჯახი - 3 5 000 სული, ხოლო ა.სილაგაძისა და ა.თოთლაძის მიხედვით - 2 5 000).

რუსების მცდელობის მიუხედავად, ახალციხე-ახალქა-ლაქში მაინც დარჩნენ მუსლიმანი ქართველები; მაგ., 1832 წელს, ცნობილი მოგზაურობის შემდეგ, დი ბუა დი მონპერე ასკვნის: “ახალციხის საფაშოში თურქებად მიჩნეული მოსახლეობის დი-დი ნაწილი ქართველია, რომელთაც მიღებული აქვთ ომარის სექტის მაჰმადიანობა; მათ შენარჩუნებული აქვთ ქართული ენა, ქართული გვარები და ქართველთათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი... წლობით გარემოების ზეგავლენის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა რჩება მარადის ქართველ ტომად“...

რუსეთის იმპერია ხელს უშლიდა თურქებისგან ძალით გამაჰმადიანებული ქართველობის მობრუნებას დედარელიგი-ისკენ; მაგ., 1888 წელს არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია არწმუნებს ეგზარქოს პალადიეს:

“ბათუმისა და ართვინის ოლქებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, იოლია ქართველ-ების მობრუნება მართლმადიდებლობაზე“...

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამაუქმებელი იმპერია საპირისპიროდ მოიქცა: შემოერთებულ ნაწილში ძალაში დატოვა “შარიათი“; მეტიც, “რუსები ღვთისმსახურებს იწვევდნენ ანატოლიიდან, რამაც მხოლოდ გამაჰმადიანების პროცესი კი არა, ამ მხარის გათურქების პროცესიც გააღრმავა“ (შ.ლომსაძე). რიტორიკულ კითხვას პასუხი არ სჭირდება, მაგრამ მ.თამარაშვილის 100 წლის წინანდელი წუხილის გვერდით გავიხსენებთ ა. ყიფშიძის იმავდროინდელ დასკვნას:

მიხეილ თამარაშვილი: “თურქთა უღლიდან განთავისუფ-ლების შემდეგ რა ხელშემწყობი მიზეზებით იკიდებს ფეხს თურქული ენა სამცხე-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებში?“ ან: “ახალ დროებში რატომ ბნელდება ერთ დროს თავმოწონებული მესხი, სწავლითა ქებული?..“

ალექსანდრე ყიფშიძე: “საოცარი ამბავია, მაგრამ შეურყეველი და წეშმარიტი ისაა, რომ ქართული ენა უფრო დაიჩაგრა რუსების მოსვლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში... მიზეზი ისაა, რომ ქართულმა ენამ ხალხში ფუნქცია დაკარგა რუსობის მართვა-გამგეობის დროს, აღარაა იგი ხმარებაში სკოლაში, სასამართლოსა და პოლიცია-ადმინისტრაციაში...“ (ა.ფრონელი, 1991, გვ. 13 5).

მესხეთის მესამე ტრაგედია - მუსლიმანების მიერ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ამოწყვეტა

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რუსეთისა და თურქეთის ერთობლივი გეგმის მიხედვით (საქართველოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას ორივე იმპერია შეთანხმებულად უშლიდა ხელს), აბასთუმანში ჩატარდა “ადგილობრივ მუსლიმანთა ყრილობა“, რომელმაც გამოაცხადა სამცხის, ჯავახეთის, არტანის, შავშეთის, აწარისა და ყარსის მუსლიმანთა (ქართველებისაც და არაქართველებისაც) სახელმწიფოს დაარსება; თურქეთის წაქეზებით, ამ უღლეური წარმონაქმნის მეთაურის - სერვერბეგ

ქვაბლიანსკის (თან ბეგი, თან ქვაბლიანსკი! არადა, ჯაყელთა უშუალო მემკვიდრეა) პროვოცირებით, თურქებმა, რუსმა თეთრგვარდიელებმა და მესხეთში მცხოვრები მუსლიმანების ერთმა ნაწილმა 1918-19 წლებში **სასტიკად ააოხრა მეზობელი მართლმადიდებელი ქართველობა** - დედასამშობლოსა და ქრისტიანობის ერთგულებისათვის დასაჯეს: აყარეს საცხოვრებელი ადგილებიდან, ნაწილი დახოცეს, გააუპატიურეს, გაძარცვეს... ნოე ჟორდანიას ხელისუფლების აქტიურობით, ბაკურიანში, ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის ტყეებში გახიზნული გადარჩენილი ქრისტიანი ქართველები თავიანთ საცხოვრისებში დაბრუნდნენ, მაგრამ **მათ უდიდეს ტკივილად დღემდე გამოჰყვათ ეს დამცირება.**

საბჭოთა პერიოდში მინელდა მანამდე პროვოცირებული მუსლიმანურ-ქრისტიანული დაპირისპირება; ქართულის მცოდნე მუსლიმანი ქართველები თავის ქართველობას ნელ-ნელა აცნობიერებენ და ქართული სკოლების გახსნას ითხოვენ (გამაჰმადიანებულ ქართველთა ნაწილს ამ დროს უკვე დავიწყებული აქვთ ქართული ენაც; იხ., ზ.ჭიჭინაძე, 2 004 , გვ. 105 -106).

კომუნისტური ხელისუფლება, აგრძელებდა რა მეფის რუსეთის პოლიტიკას, მუსლიმან ქართველთა ქართულად განათლების ხელშეწყობის ნაცვლად, აზერბაიჯანულ სკოლებს ხსნიდა; მასწავლებლებსაც კი აზერბაიჯანიდან იწვევდა (თვითმხილველის ცნობებისათვის იხ., გ.ბოჭორიძე, 1992; საკითხის მიმოხილვისათვის, კი - ა.სილაგაძე, ა.თოთაძე, 2 002 , გვ. 3 8-3 9).

მესხეთის მეოთხე ტრაგედია - რუსეთის იმპერიის მიერ მუსლიმანთა გასახლება

რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების ბოლო ეტაპზე - მეორე მსოფლიო ომის დროს, **საბჭოთა იმპერია** უკვე აღარ ენდობა საზღვრისპირა რეგიონში მცხოვრებ მაჰმადიან მოსახლეობას (რომელთა ნაწილს საბჭოთა მოქალაქეობაც კი არ ჰქონდა მიღებული!); სწორედ ამიტომ, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1944 წელს რუსეთის იმპერიამ კავკასიიდან გაასახლა 15 0 000-ზე მეტი ადამიანი; ამათგან საქართველოდან (სამცხე-ჯავახეთიდან) ერთ ღამეში სახლებიდან გამოყარეს 15 ათასი ოჯახი, ანუ 94 000 ადამიანი, მათ შორის იყვნენ: მაჰმადიანი ქართველები, ეთნიკური თურქები, თათები, ჰემშინები/ხემშილები (მუსლიმანი სომხები), ქურთები, თარაქამები. გასახლებულ პირთა ნაწილი გზაშივე დაიხოცა; გადარჩენილებმა დღემდე ჯოჯოხეთში იარეს.

1944 წელს მესხეთიდან გასახლებულ პირთა საერთო სახელად დღემდე დამკვიდრებულია ტერმინი **“თურქი მესხები”**. რამდენადაც, სამცხე-ჯავახეთიდან აყრილი მოსახლეობა არ იყო ერთგვაროვანი, მათ საერთო სახელად გაუმართლებელია რომელიმე ერთი **ეთნონიმი**, მით უმეტეს, ტერმინი **თურქი მესხი**: ისტორიული წყაროების **მესხები** ქართველთა ერთ-ერთი ჯგუფია, შესაბამისად, **თურქი მესხი** ისეთივე აბსურდული ტერმინია, როგორც, მაგალითად, **ფრანგი რუსი**; შდრ., ლოგიკური შესიტყვებებია: მოსკოველი ქართველი, თურქი მესხეთიდან, ამერიკელი ფრანგი, რუსი საფრანგეთიდან...

1944 წელს რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ რეპრესირებულ მოსახლეობას შეესაბამება ფრაზა: **“მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობა”**; შდრ., ასეთ საერთო აღმნიშვნელად ვერ გამოდგება ტერმინები: **თურქი, მაჰმადიანი ქართველი, მესხეთელი თურქი, მესხი, თათი, თარაქამა, ხემშილი...**

ისტორია ასახულია აწმყოშიც:

კავკასიიდან (საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ჩრდილო კავკასიიდან...) გასახლებულთა შთამომავლების ნაწილი დღესაც ქართველობას იჩემებს და სამშობლოსკენ ილტვის; მეორე ნაწილი თავს თურქად მიიჩნევს და საქართველოს სასაზღვრო ზოლში ითხოვს (აზერბაიჯანიდან დეპორტირებულნიც კი!) ტერიტორიას კომპაქტურად ჩასახლებისა და თურქეთთან მიერთების მიზნით (იხ., მაგ., “ვათანის“ წევრთა მოთხოვნები). აშკარაა ისიც, რომ გადასახლებულ და რეპატირებულ ადამიანთა საკითხით საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი ძალები მანიპულირებენ.

არადა:

საბჭოთა იმპერიის მიერ მესხეთიდან დეპორტირებულმა უბრალო ხალხმა გადაიტანა: იძულებით მგზავრობაში ახლობელთა სიკვდილი (17 000-მდე!), დევნილობაში დამცირება, ფერგანის გენოციდი, შიმშილი, სიცივე... ყველგან **უცხოდ მცხოვრები** მათი შთამომავლები დღემდე იტანჯებიან. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1944 წელს დეპორტირებულნიც ისევე ეწამნენ, როგორც:

– XVII საუკუნის დასაწყისში სპარსელების მიერ კახეთიდან აყრილი შუა ირანში - **ფერეიდანში** - გადასახლებული ქრისტიანი ქართველები;

– XVII საუკუნეში თურქების მიერ მესხეთიდან აყრილი ქრისტიანი ქართველები;

– 1828-29, 1879-80 და შემდგომ წლებში რუსულ-თურქული გარიგებით, სამცხე-ჯავახეთიდან, არტანიდან, ყარსიდან, აწარიდან, ტაო-კლარჯეთიდან აყრილი და შუა თურქეთში გადასახლებული მაჰმადიანი ქართველები;

– 1882-95 და 1915-17 წლებში ოტომანთა იმპერიის მიერ დევნილი სომხები;

– 1918-19 წლებში სამცხე-ჯავახეთში დარბეული ქართველი მართლმადიდებლები;

– 1944 წელსვე კომუნისტური იმპერიის მიერ დასჯილი ყირიმელი თათრები, გერმანელები, ჩეჩენ-ინგუშები, ჩერქეზები, უბიხები...

– 1960-62 წლებში რუსეთ-თურქეთის შეთანხმების (ე.წ. კოსიგინის დოკუმენტის შექმნის) შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული ქართული მიწებიდან შუა თურქეთში გასახლებული ქართულენოვანი მოსახლეობა (რატომ არავის აწუხებს მათი რეპატრიაციის საკითხი?);

– 1991-93 წლების იმპერიულ-კრიმინალური პუტჩით დევნილი პატრიოტები და პუტჩისშემდგომ გაუსადღის ყოფას გარიდებული საქართველოს სხვა მოქალაქენი (მათი ნაწილი - ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი - დღესაც უცხოეთშია მიგრირებული);

– 1992-2000 წლებში საქართველოს უძველესი კუთხეებიდან - აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რუსეთის მიერ გამოძევებული საქართველოს მოქალაქეები...

როგორ შევძლოთ თანაცხოვრება?

რითი შეგვიძლია დღეს ჩვენ დავეხმაროთ კახეთიდან, ტაო-კლარჯეთიდან და სამცხე-ჯავახეთიდან აყრილ (და ფერეიდანში, შუა თურქეთში, შუა აზიაში... გადასახლებულ) ქართველ მუჰა-ჯირებს/ემიგრანტებსა თუ დეპორტირებულებს ისე, რომ მათ ნასახლარებში იძულებით თუ ნებით “დამკვიდრებული“ ადამიანების დღევანდელი თაობები არ გავაუბედუროთ? მაგ., 1944 წელსვე ზემო იმერეთში

იძულებით აყარეს და მესხეთის დაცარიელებულ სოფლებში ჩამოსახლეს ათასობით ოჯახი; ფერეიდანში გადასახლებულთა ნაცვლად დღეს კახეთის შესაბამის სოფლებში ათეულათასობით ადამიანი ცხოვრობს... აქვეა აღსანიშნავი, რომ დეპორტირებულთა კომპაქტური დასახლება შესაძლებელია ისტორიული მესხეთის ცარიელ მიწებზე (ასეთი კი დღეს მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია არტანის მხარის სახით)...

არსებული პრობლემები, სულ მცირე, ორი მიმართულებით მოითხოვს ობიექტურ განსჯას:

a. დასაცავია საკუთარი საცხოვრისიდან (აფხაზ-ეთიდან, სამაჩაბლოდან, მესხეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან...) აყრილ **საქართველოს მოქალაქეთა** (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) უფლებები; დასადგენია მათ მიმართ **კომუნისტური იმპერიის** სამართალმემკვიდრე **რუსეთის ფედერაციის** პასუხისმგებლობის ხასიათი;

b. გასათვალისწინებელია მრავალმხრივ დაზარალ-ებული **საქართველოს რესპუბლიკის** სასიცოცხლო ინტერესები.

საამისოდ საჭიროა:

– აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეების ჩათვლით, საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლების იურისდიქციის სრული აღდგენა და საქართველოს ტერიტორიაზე დღეს არსებული “შავი ხვრელების“ მოშლა (“სეპარატისტებად“ სახელდებული პრორუსული იმპერიული კლანები რომ აკონტროლებენ);

– საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული სამწიგნობრო ენის (აფხაზეთში, აგრეთვე, აფხაზური ენის) - უფლებების სრულყოფილი განხორციელება საქართველოს იმ ისტორიულ მხარეებში, სადაც ჩამოსახლებული არიან სხვა ეთნიკური ჯგუფები;

– დევნილ მაჰმადიან ქართველთა (მესხთა, ფერეიდნელთა, იზმიტელთა, ინეგოლელთა, ადაფაზარელთა...) ისტორიული კულტურული მეობის გადარჩენა;

– ქართველი ერისა და საქართველოს სხვა მოქალაქეების რელიგიურ-კულტურული ღირებულებების დაცვა;

– ქართველური ცნობიერების ნიველირებისა და ტერიტო-რიების შემდგომი დაკარგვის საფრთხის თავიდან აცილება (სასაზღვრო ზოლში უცხოენოვანი კომპაქტური მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდის შემთხვევაში დიდი საფრთხე შეექმნება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს; მაგალითად, ყველას ახსოვს რუსეთის იმპერიის გეგმითა და **იუსუფ სარგაროვის** მეწინავეობით 1990 წლის 10 აგვისტოს ადლერის სტადიონზე **მესხეთელი თურქების** სახელით ჩატარებული მიტინგის მთავარი ლოზუნგი: **“საქართველოს ხალხებო! დაგვეხმარეთ მესხეთელ თურქებს, დავბრუნდეთ მესხეთში“** ნ.მიქაძის დოკუმენტური მასალისათვის იხ. “ოქროს საწმისი“, 1990, № 5 , გვ.12)...

იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხს საერთაშორისო მასშტაბის ანალიზი, დიდი მატერიალური სახსარი, ხანგრძლივი დრო და, რაც მთავარია, **სახელმწიფოში კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობა** ესაჭიროება...

არადა, ამჟამად გაუსაძლის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კრიზისს განიცდიან **დევნილი კონკრეტული ადამიანები**; რითი შეგვიძლია მივესალბუნოთ: კახეთიდან

და მესხეთიდან აყრილთ, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს, ეკომიგრანტებს...

ჩვენ რაღაც ხომ შეგვიძლია გავაკეთოთ მათთვის?

პირადად ჩემი და ჩემი მეგობრებისა თუ კოლეგების ხედვის ველში 2 000 წლიდან მოექცნენ საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებიც 1982 -1989 წლებში ეროვნული ძალების მხარდაწერით, როგორც **დეპორტირებული ქართველები /მესხები**, ჩამოსახლდნენ საქართველოში, სოფელ იანეთში; ეროვნული ძალებისვე აქტიურობით, სახელმწიფომ მაშინ მათ აუშენა საცხოვრებელი სახლები, დაასაქმა, გაუხსნა სკოლა; რეპატირებულთ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა და **1991 წლის 3 1 მარტის რეფერენდუმში მხარი დაუჭირეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას**: საქართველოს სხვა მოქალაქეთა მსგავსად, იზიარებენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, თუმცა, მათთვის ფსიქოლოგიური ხასიათის სირთულეები მაინც დარჩა.

იანეთში პრობლემები განსაკუთრებით გამძაფრდა ბოლო ათწლეულში, როცა უაღრესად დასუსტდა სახელმწიფოებრივი მენტალობა და მოიშალა ეკონომიკა. ამ დროიდან მოყოლებული, **საქართველოს აღარ შეუძლია** არათუ ფერეიდნელებისა და 1944 წელს დეპორტირებულთა შთამომავლების კომპაქტურად ჩამოსახლების უზრუნველყოფა, არამედ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან ახლახან გამოდევნილი მოსახლეობის მოვლა-პატრონობა...

იანეთის მე-9 უბანში შევსებული კითხვარის შედეგები
როგორია დასახლებულ ადამიანთა ენობრივ-ეთნიკური
თვითაღქმა (identity)?

სამტრედიის რაიონის **“სოფელ იანეთის მესხთა დასახლების“** ეთნოკულტურისა და ისტორიის მეცნიერული შესწავლის მიზნით, სამუშაო დავგეგმეთ რამდენიმე მიმართულებით:

- რეპატირებულ პირთა მეტყველების ფონეტიკურ-გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებების შესწავლა;
- რეპატირებულ პირთა ეთნო-კულტურული თავისებურებების აღნუსხვა-შესწავლა;
- რეპატირებულ პირთა მიერ ენობრივ-ეროვნული თვითობის მახასიათებლების შესწავლა...

შესაბამისად, ჩემს ერთ-ერთ დოქტორანტს, ბ-ნ გიგა ქამუშაძეს საკვალიფიკაციო ნაშრომის თემად შევურჩიეთ (2 002 წ.) **“იანეთის მესხთა დასახლების მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი“**. სხვა საკითხების კვლევის მიზნით, რეპატირებული ქართველის, ბ-ნ ლაშა ერისთავისა და ქსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის, ბ-ნ დავით ლომსიანიძის დახმარებით, **“იანეთის მესხთა დასახლებაში“** ადგილზე ფიზიკურად მყოფ 2 3 ოჯახში 2 005 წლის დასაწყისში შევავსეთ **კითხვარი**, რომელიც მოიცავს შემდეგ კითხვებს:

1. **ოჯახის უფროსის** სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, ადგილი; წინაპრების/დევნილობისდროინდელი გვარი; 2 . მისი ოჯახის შემადგენლობა: **მეუღლის** (დიასახლისის) სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი; წინაპრებისა და დევნილობისდროინდელი გვარი; **ოჯახის უფროსის მშობლები** (მამა - ძველი გვარი/ახალი გვარი; დედა - ძველი გვარი/ახალი გვარი;

დასახლის მშობლები: მამა - ძველი გვარი/ახალი გვარი, დედა - ძველი გვარი/ახალი გვარი); **შვილები** (სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი);

3. მესხეთში სად ცხოვრობდით?

4. გადასახლებაში სად იყავით?

5. პროფესია / განათლება

6. ამჟამად რა საქმიანობით ირჩენთ თავს?

7. რელიგიური მრწამსი: თქვენი / თქვენი წინაპრის / თქვენი შვილების;

8. რომელ ენებს ფლობთ?

9. დედაენა: თქვენი / თქვენი წინაპრების / თქვენი შვილების;

10. რა იცით თქვენი ენის ისტორიის შესახებ?

11. სამი კარგი მოვლენა თქვენს ცხოვრებაში;

12. სამი ცუდი მოვლენა თქვენს ცხოვრებაში;

13. რა იცით თქვენი გვარის (მოდგმის) ისტორიის შესახებ?

14. რა იცით მესხების ისტორიის შესახებ?

15. რომელ ეროვნებას აკუთვნებთ თავს?

16. რა არის საწირო, რომ თქვენი ყოფითი ცხოვრება გაუმჯობესდეს?

17. ჩამოთვალეთ თქვენი კერძების სახელები: ქართული / თურქული / შუააზიური;

18. იანეთის დასახლებაში როდის ჩამოხვედით?

19. თქვენ რომ საქართველოს პარლამენტში იყოთ, როგორ მოაწყობდით ჩვენს სახელმწიფოს?

20. კიდევ რისი თქმა გსურთ?

ზოგად შტრიხებში განვიხილავთ რესპოდენტთა პასუხებს თითოეული კითხვის მიხედვით:

1. ოჯახის უფროსის სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი; წინაპრების გვარი:

6 ოჯახს აქვს ქართული გვარი; წინაპრების (ერთ-ერთი მშობლის მაინც) ქართული გვარი კი ახსოვს - 14 -ს;

2. ოჯახის შემადგენლობა:

19 ოჯახი მრავალშვილიანია; შვილების სახელთაგან (სულ 91) ტრადიციული ქართულია - 10;

3. მესხეთში სად ცხოვრობდით?

კონკრეტულ სოფელს ასახელებს - 22 ოჯახი;

4. გადასახლებაში სად იყავით?

15 ოჯახი - უზბეკეთში, 6 - აზერბაიჯანში; 2 - ტაშკენტში,

5. ოჯახის უფროსთა პროფესია/განათლება

ტექნიკური - 6 ; საშუალო - 6 ; რამდენიმე კლასი - 4 ; უმაღლესი - 3 ; არ უსწავლია - 3 ; ერთმა რესპოდენტმა გრაფა ცარიელი დატოვა.

6. ამჟამად რა საქმიანობით ირჩენთ თავს?

სოფლის მეურნეობით - 20; კერძო ფირმაში მუშაობით - 2 ;

7. რელიგიური მრწამსი:

დღეს ყველა რეპატრიანტი შვილებითურთ მაჰმადიანია; წინაპრების რელიგიად მაჰმადიანობას ასახელებს 14 ოჯახი, ქრისტიანობას - 5 ; 4 ოჯახმა არ იცის.

8. რომელ ენებს ფლობთ?

ყველა ასახელებს რამდენიმე ენას; კერძოდ: რუსულს - 19; ქართულს - 18; აზერბაიჯანულს - 11; თურქულს - 15 ; უზბეკურს - 4 ; ყაზახურს - 3 ; ყირგიზულს - 1; უკრაინულს - 1; ინგლისურს - 1; ყაზბარდოულს - 1; მესხეთის ენას - 1.

9. დედაენა: თქვენი /თქვენი წინაპრების /თქვენი შვილების;

წინაპრების დედაენად: ქართულს მიიჩნევს - 12 ; თურქულს/აზერბაიჯანულს - 6 ; უზბეკურს - 1; არ იცის - 5 ;

საკუთარი და შვილების დედაენად ქართულს - 12 ;

საკუთარ დედაენად თურქულს/აზერბაიჯანულს, შვილებისად - ქართულს - 4

;

საკუთარ დედაენად მესხურს, შვილებისად ქართულს - 1;

საკუთარ დედაენას ვერ ასახელებს - 2 ;

იანეთელ რეპატრიირებულთა მიერ დედაენად ქართულის მიჩნევა არა მხოლოდ მათი თვითმიკუთვნება ქართულ კულტურასთან, არამედ ისტორიული რეალობაც; კერძოდ, ლინგვისტიკას აქვს უტყუარი ანალიზის საშუალება: თუკი მოცემულ ენაში არის ე.წ. კავკასიური ხშულები (პ,ტ,წ,ჭ,კ,ყ), ე.ი. ეს ენა ისტორიულად არ შეიძლება იყოს თურქული, სპარსული და ა.შ. საგანგებო დაკვირვების შედეგად ჩვენ (ბ-ნ გიგა ქამუშაძესთან ერთად) დავადგინეთ, რომ იანეთელ რეპატრიირებულთა თურქულ მეტყველებაში ბუნებრივია პ, ტ, წ, წ, კ, ყ ბგერები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათი თურქული მეტყველება დაფენილია ქართულ ენაზე (გამოკვლევა მალე გამოქვეყნდება სამეცნიერო ლიტერატურაში): ქართული ენა საფუძველია/სუბსტრატია იანეთის თურქული მეტყველებისა. ქართულის სუბსტრატულობას ცხადყოფს, აგრეთვე, არქაული ქართული ლექსიკაც, რომელიც მრავლადაა იანეთელთა თურქულში (ამის შესახებ საგანგებო გამოკვლევა მალე გამოქვეყნდება). ქართული სუბსტრატის არსებობა/არარსებობის თვალსაზრისით, საინტერესოა მესხეთიდან დეპორტირებულ სხვა ჯგუფთა მეტყველებაც; საკითხი შემდგომ კვლევას ითხოვს.

10. რა იცით თქვენი ენის ისტორიის შესახებ?

არაფერი - 2 0; ძველი თურქულის ერთ-ერთი დიალექტია - 1; შერეული ენაა - 1; “ჩვენი საოჯახო ენა ჩამოყალიბდა ქართული და სომხური ენების შერევით“ - 1;

11. სამი კარგი მოვლენა თქვენს ცხოვრებაში;

სამშობლოში დაბრუნება - 8; შვილების შეძენა - 7; ბაქოში ნათესავების მონახულება - 3 ; სასწავლებელში ჩაბარება - 1; რაიმე კარგი არ ახსოვს 12 რესპოდენტს;

12 . სამი ცუდი მოვლენა თქვენს ცხოვრებაში;

ბევრი რამ - 9; შვილების/შვილის/დედის სიკვდილი - 6 ; ნათესავებისგან მოწყვეტა - 3 ; ის, რაც საქართველომ ბოლო წლებში გადაიტანა - 1; გადასახლება - 1; თათარს რომ მეძახიან - 1; საზოგადოებისგან მოწყვეტით ცხოვრება - 1; არაფერი - 1;

13 . რა იცით თქვენი გვარის (მოდგმის) ისტორიის შესახებ?

არაფერი - 15 ; მხოლოდ ის, რომ ქართულია - 5 ; კახეთიდან/ბაღდადიდან ვართ წამოსული - 2 ; ბაბუის სახელიდან მოდის - 1;

14 . რა იცით მესხების ისტორიის შესახებ?

არაფერი - 15 ; მესხები ქართველური ტომია - 5 ; ქართველები იყვნენ, მერე გაათურქეს/გაამაჰმადიანეს - 3 ;

15 . რომელ ეროვნებას აკუთვნებთ თავს?

ქართველს - 17; მესხს - 2 ; ქართველ მაჰმადიანს - 2 ; სადაც ცხოვრობ ადამიანი, იმ ეროვნების ხარ - 1; არ ვიცი - 1;

16 . რა არის საჭირო, რომ თქვენი ყოფითი ცხოვრება გაუმჯობესდეს?

სამუშაო ადგილები - 12 ; ჩემი ნათესავები აქ ჩამოვიდნენ - 3 ; ფული და ჯანმრთელობა - 1; საქართველოში ეკონომიკის აღორძინება - 1; ერთობა - 1; მშვიდობა - 1; ჩვენი უფლებების დაცვა - 1; კარგად ვცხოვრობ - 1.

17. ჩამოთვალეთ თქვენი კერძების სახელები: ქართული/ თურქული/შუააზიური...

ყველა ასახელებს რამდენიმე ქართულ და შუააზიურ საწმელს; ორი - თურქულსაც; 2 0 ოჯახში თურქულის გრაფაში ჩაწერეს: “არ ვიცი“.

18. იანეთის დასახლებაში როდის ჩამოხვედით?

1982 /83 - 15 ; 1985 /86 - 3; 1989 - 2; 1995 /97 - 3 ;

19. თქვენ რომ საქართველოს პარლამენტში იყოთ, როგორ მოაწყობდით ჩვენს სახელმწიფოს?

გაჭირვებულთ დავეხმარებოდი - 4 ; არ მიფიქრია - 3 ; ეკონომიკას ავალორძინებდი - 3 ; მოვითხოვდი სიმართლეს - 1; გადასახლებულებს შეეკრებდი და მშობლიურ სოფელში დავაბრუნებდი - 1; საქართველოში მშვიდობიან ცხოვრებას დავამყარებდი - 2 ; სიკეთით - 3 ; გზებს გავაკეთებდი - 1; გადავწრიდი ეროვნებათაშორის პრობლემებს - 1; კანონს მივიღებდი ჩვენი ერთი სახელის შესახებ - 1; ისეთ პოლიტიკას გავატარებდი, ჩვენ რომ ქართველებთან არ გაგვთიშავდა - 1; არ მსურს პარლამენტარობა - 3 .

20. კიდევ რისი თქმა გასურთ?

მინდა, აზერბაიჯანში მცხოვრები ნათესავები დაბრუნდნენ - 1; მინდა, აქ ჩამწერონ, საქართველოში - 1; “სიდან მოიგონეს ეს მესხი, მე ქართველი ვარ“ - 1; არ არსებობს თურქი მესხი, მე ქართველი ვარ - 1; ქართველებთან უფრო დაახლოვება - 1; სწავლის შემდეგ ჩვენმა ბავშვებმა მიიღონ სპეციალობა - 1; ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში - 1; გვინდა 11-წლიანი სწავლება სკოლაში - 1.

პასუხი არ ჩაწერა 15 რესპოდენტმა.

წარმოდგენილი და სხვა მასალა მომავალში უფრო დეტალურად და მრავალმხრივ გაანალიზდება; ჩვენი ამჟამინდელი მიზანდასახულობის შესაბამისად, გამოვაქვეყნებთ მხოლოდ სამ ძირითად დასკვნას:

I. იანეთში ჩამოსახლებულ ადამიანთა ცხოვრება დიდი ისტორიული ბედუკუდმართობის გაგრძელებაა;

II. საქართველოში ორი ათეული წლის მანძილზე ცხოვრების მიუხედავად, მაინც დიდია რეპატრიირებულ პირთა გაუცხოების ხარისხი; ე.ი. **საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე ვერ შეძლო ამ მცირე ჯგუფის პატრონობა**. არსებული რეალობიდან გამომდინარე, არც უახლოეს მომავალში ჩანს ისეთი სახელმწიფოებრივი პოტენცია, რომლითაც არსებული ხელისუფლება ქვეყნის ინტერესების შეუბღალავად უზრუნველყოფს დეპორტირებულთა ახალი (მით უმეტეს - დიდი) ტალღისთვის ცხოვრების პირობების ორგანიზებას; გარდა ამისა, “ვათანის“ ტიპის პროიმპერიული გაერთიანებისგან მართული და საქართველოს წინააღმდეგ მომზადებული უცხოენოვანი ჯგუფების დიდი მასის უკონტროლო შემოსვლა კატასტროფული შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის. სამართლებრივი თვალსაზრისით, პრობლემურია დეპორტირებულთა შერჩევაც...

დღეს საქართველოს სახელმწიფოს უკვე შეუძლია, მეტი დახმარება გაუწიოს 1991 წლამდე საქართველოში დაბრუნებულ (რეპატრიირებულ) და, შესაბამისად, უკვე თავის მოქალაქედ აღიარებულ პირებს **სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით**; ამ მხრივ არასამთავრობო სექტორმაც უფრო უნდა იაქტიუროს.

III. **დევნილთა და დეპორტირებულთა დაბრუნება ხანგრძლივი პროცესია**. ყველა ქვეყანამ უნდა შეუწყოს ხელი უცხო ქვეყანაში მყოფ ხიზანთა ყოფითი პრობლემების მოწესრიგებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; მით უმეტეს, იმ **სახელმწიფოებმა**, რომლებიც თავად არიან ამ იძულებითი გადასახლებების ორგანიზატორები. გარდა ამისა, ცივილი-ზებულის საზოგადოება ვალდებულია, ხელი შეუწყოს სხვადასხვა დროს დეპორტირებულთათვის ისეთი **საინფორმაციო ბანკის** შექმნას, რომელიც დაეხმარება მათ საკუთარი თავისა და ადგილის პოვნაში: პიროვნების ობიექტური თვითაღქმისთვის აუცილებელი ცოდნა ბევრ პრობლემას მოუხსნის ყველა საზოგადოებას.

როგორ ცხოვრობენ დღეს იანეთში და რას ვაკეთებთ ჩვენ?

1992 წელს საქართველოში დაწყებული ქაოსის გამო, მკვეთრად გაუარესდა ქვეყნის ყველა მოქალაქის ცხოვრების პირობები. იანეთშიც დაიშალა და გაპარტახდა მეურნეობა; დაიხურა ერთადერთი სამუშაო ადგილი - ფერმა; გაუფასურდა პენსია... მრავალშვილიანი ოჯახები დღესაც ფაქტობრივი შიმშილის ზღვარზე არსებობენ (მოსახლეობის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის მიუხედავად). სიდუხჭირე აისახა სკოლის პრობლემებზეც; სახელმძღვანელოებისა და ხელფასის არარსებობის პირობებში ერთადერთი (ქართულენოვანი) სკოლა დირექტორმა და რამდენიმე მასწავლებელმა დიდი თავგანწირვით შეინახეს. მასწავლებელთა და რეპატრიანტთა მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ისინი სხვა დასახლებულ პუნქტებს 10-15 კილომეტრით არიან მოშორებულნი, შესაბამისად, სხვა ადამიანებთან ნაკლები კონტაქტი აქვთ...

აქამდეც საჭირო იყო:

– საქართველოს მოქალაქე რეპატრიირებულ პირთა დასაქმებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისთვის დონორების მოძიება;

– საქართველოს მოქალაქე რეპატრიირებულ პირთა ცნობიერებაში სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის აღდგენა (საამისო კარგ მაგალითს იძლევა ამერიკული, ევროპული თუ აზიური ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების გამოცდილებაც);

– სახელმწიფო ენის სწავლების, ზოგადად, ცოდნის მიღების პირობების გაუმჯობესების მიზნით, იანეთის სკოლის შეკეთებისა და სახელმძღვანელოებისათვის თანხების მოძიება;

– ქვეყნის სამოქალაქო ცხოვრებაში რეპატრიირებულ პირთა ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება... საქართველოს სახელმწიფოში რეპატრიირებულ პირთა იოლი ინტეგრირებისათვის უმთავრეს პრობლემად ჩავთვალეთ (რისი გადაწრაც ჩვენ შეგვეძლო!) საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების უკეთ ორგანიზება როგორც სკოლაში, ასევე თემში. საამისოდ, შევეცადეთ გაგვეძლიერებინა იანეთის მესხთა დასახლების სკოლის სასწავლო ბაზა. ამ მიზნით, ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციის - “ქართველთა ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე” - სახელით, თხოვნით მივმართეთ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს (2 002); რექტორის, პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილისა და მთელი რექტორატის მონდომებით, უნივერსიტეტმა მეურვეობა აიღო სკოლაზე და გამოყო გარკვეული თანხაც; გარდა ამისა, სკოლის 2 კურსდამთავრებულისთვის 2 003 წლიდან ყოველწლიურად დაგეგმა უფასო სწავლების ადგილი...

ჩვენი ინიციატივით და ქალბატონების: ხათუნა ჯავახაძის, მერი ელენ ჩათვინის აქტიური მხარდაჭერით, Mercy corps-მა დააფინანსა ფონდი “ჰორიზონტი“, რომელმაც 2 003 -2 004 წლებში დაგეგმა და განახორციელა პროექტი: “სკოლის სამეურვეო საბჭოს პროგრამა იანეთის თემისათვის“.

2 005 წელს საქართველოსა და საერთაშორისო ცხოვრებაში იანეთის რეპატრიირებული მოსახლეობის სრული ინტეგრაციის, ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სწავლებისა და იურიდიული ხასიათის პრობლემების მოსაგვარებლად ევროკომისიამ (European Commission) მიკროპროექტების პროგრამის (“ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებისათვის“) ფარგლებში დააფინანსა პროექტი: “მესხი რეპატრიანტების სოციალური ინტეგრაციის ცენტრი“ (Social integration center of Meskhetian repatriates), რომელსაც ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები: ტოლერანტი (ხელმძღვანელი: ცირა მესხიშვილი) და საქართველოს სამეურვეო საბჭოს ასოციაცია (ხელმძღვანელი: ხათუნა ჯავახაძე); პროექტის ხანგრძლივობაა 12 თვე (პროექტის ადგილობრივი კოორდინატორია რეპატრიანტი ტელმან ერისთავი).

პროექტი ითვალისწინებს ახალციხესა და იანეთში მესხი რეპატრიანტების სოციალური ინტეგრაციის ცენტრების დაფუძნებას; კერძოდ, იანეთში უკვე:

– საქართველოს სახელმწიფო ენას სწავლობენ ზრდასრული ადამიანები და სკოლამდელი ასაკის ბავშვები (მასწავლებლები: გ.ქამუშაძე, ლ.თევზაძე);

– ტარდება ლექციათა ციკლი საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიაში (პროფ. ტ.ფუტკარაძე);

– მუშაობს იურისტის სამსახური (დ.ლომსიანიძე)...

გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია სხვადასხვა ხასიათის დახმარება მოსახლეობისათვის, ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და სხვ.

ვფიქრობთ, მომავალშიც გაგრძელდება ქართული არასამთავრობოების, სახელისუფლებო სტრუქტურებისა და უცხოური ორგანიზაციების ამგვარი თანამშრომლობა.

იმედს გამოვთქვამთ: კანონის უზენაესობის აღდგენა-დამკვიდრების პარალელურად, საქართველოში ისევ ძალუმად აღორძინდება ტრადიციული ურთიერთთანადგომის ინსტიტუტი, შეუქცევადი გახდება სახელმწიფოს ზრუნვა საკუთარ მოქალაქეებზე და უფრო ღირსეული იქნება საქართველოში მცხოვრებთა სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი.

**იანეთელ რეპატრიირებულთა
მეტყველების ნიმუშები
(ტექსტები ჩაწერა გ.ქამუშაძემ):**

ქართული

ჩვენი თავგადასავალი

ჩვენ რო ჩავედით იქა, ამოვიდა იმათი უმფროსი და, აუ, ვერ გაგვიკეთებია კაი საქმე და უკან დაბრუნდით. ჩვენმა ხალხმა უთხრა, დავაფურთხე, იმას არ ავლოკამ. ჩვენ გვინდა სამშობლო, იქ წავედით და მერე ჩამოვეი ბაქოში. ჩამოვედი იქა, მეთქვი აქ რა მინდა, კაცო. ერთი ბიჭი აქ იყო, აქ ვიპოვე, მოვედი და დაქორწინებულა აქ.

რო დავიდგით სახლები, ბიჭო, კარტოფილი ჭამა არ იცოდენ რა იყო, პამიდორი, ნიორი, მყრალი ნიორიაო, როგორ ჭამათო ამასო. მერე მერე, სადა ხარ შენა..

ვცხოვრობდით, შემოვიდენ უცფათ, რკინიგზა არ ადიოდა მაშინა იქ. რკინიგზა ამოიყვანეს და მაშინ შუქიც არ იყო, პარავოზებით იყვენ. ამაიყვანეს რკინიგზაი, ჩვენ კი არა, ბერიკაცები მუშაობდენ, რა ვიცით, რო ჩვენ უნ გადაგვასახლოს. თან გვამუშავეს და თან დედა გვითირეს (იცინის). ეს არის. ჩამოვედით, ბიჭო, მერე ახლა, უმფროსებმა იცოდენ. მარა არ ეუბნებოდენ ხალხსა, ვინც იცოდა, ცოტა მეემზადენ ისინი, ვინც არა და, ასე წავიდა. გზაში ახლა, დაგვადგა სამხედროი, კაცო, ვიტონკებით. არ გაინძრეთ! აპა ახლა უნდა დაგარტყას თურქეთმა აქედანაო და, თურქეთმა, მარა რატო გამოგვარჩია. ამის მთქმელიც არავინ აღარ იყონ. გინდა უთხარი, გინდა, არა. რას გარგია, გამოდი ჩქარე. საქონელი ზოქს დამბული დარჩა, ზოქს გაშვებული დარჩა საცოდავათ. არ დაგვაკლეინეს, კაცო, საქონელი. არაო, კაცო, თბილისიდან უკან მოგაბრუნეფთო. ერთ დღეში რა მოუვა აქაო, სალდათები უგდებენ ყურსაო. კაი ყური უგდეს. ერთი თვეი დღე და ღამე, რამდენი კაცი გადავყარეთ გზაში, აყროლდა, კაცო, რა! რა უნდა ქნა. სულ გამოგვარჩიეს ჩვენ, სომხებიც დატოვეს, ქართველებიც დატოვეს. შენ ხარ ხელცარიელი. იმათ უკვე სია ქონიათ ჩამოწერილი, აპა, შენ რაც გინდა, ის თქვი. მერე ზოგიერთსა, ხომ ვიყავით საქართველოში ბორჯომისკენა დარჩენილი ხალხი, ისინიც გამოარჩიეს და მოგვაყოლეს უკანა.

– სკოლაში თუ სწავლობდით ახალციხეში?

– არა კაცო, მაშინ ომიანობის დრო იყო, არავინ არა მყვანდა. ღამის სკოლაში ორი თვე ვისწავლე ბორჯომში. გვიკრეს თავი და, იალა. წავედით, რა ვქნა? იქ რო ჩავედით,

ახლა, ბიჭო, შიერი ხალხი, ისიც უთქვამთ, რო ეს ხალხი მოდიან, ხალხის მწამელები არიან. კაია რო ისე უთქვიათ, უზბეკებსა ემინოდათ (იციან).

გამოგვარჩიეს ჩვენე და... ჩვენზე ადრე ხო ის ჩეჩნები გადაასხლა, კაცო. ინგუში, კარაჩაი. იქ რო ჩავედი, მერე ვისწავლე ეს, ისინიც იქ იყვენ. კრიმსკი თათრები, ხო, ეგენიც. რა ვიცი, რა იფიქრა, ამ კაცმა რა მოიფიქრა, მეც არ ვიცი, აბრალებენ ბერიასა და რა ვიცი ახლა მე.

.....ეს სოფელი აგერ არი, ესეც სოფელი, მიბმულია ერთიმეორეზე. ვერ გადავდიოდით აქედან აქ. ამ სოფლიდან ამ სოფელში. დილაზე სამუშაოთ გაიყვანდენ, ხელს მოაწერებენ, სადამოზე მოყავან, ხელს მოაწერებენ. პაპის პაპაც მამაჩემა მითხრა აქ ცხოვროფსო და, ხო, დედა. პაპაჩემი ყოფილა ქურთი თითონა, მაგრამ საიდან არის მოსული, ეს არ ვიცი. სოფელია, ქურთებიც არიან, მერე ესენიც არიან. აქანა როცა ვიყავი, მე ვიყავი, კაცო, ხო ქურთი ვარ კაცო, არა@ აზარბაიჯანელათ ჩაიწერეთო. ჩავვწერეს ასე აზარბაიჯანელათ.

ისეთი დრო გავატარე, რომა ამამივიდა ყელში, მარა კაი დროც ვერ გავატარე, არც გლახა გამიტარებია, მარა...

...ღვინოსაც ...აკეთებდენ, აბარებდენ, კოლექტივიც თესანდა, სიმინდი, ხორბალი, ასეთ რამეს ვთესანდით.

ბევრი კაცი ისე დაიხოცენ, მოხუცებულები, რო ვერ დაინახა, საქართველოც ვერ დაინახეს, რო რანაირია იმ მოხუცებულებმა, მაგრამ ამბობდენ - სამშობლო და სამშობლოო. შიერიც მოვკვდებით, იქ უნდა მოვკვდეთო.

**ბეგფაშა (პავლე) მამედოვი; 75 წლის;
იანეთის დასახლებაში ჩამოვიდა 1997 წელს;
ქართული იცოდა გასახლებაამდეც.**

სხვადასხვა ამბები

_ფერმა არი აქა საკუთარნი, საკუთარნი ხო.

_ვისია?

_ ვისი და, რა ქვია, ზურიკო, გვარი არ ვიცი, უჟე სამი წელია მე მუშაო აქა, ხოდა, რა ვქნათ, არ მუშაო, შიერი, შიერი ხო არ მოკდებით. და, მუშაოვ და მუშაოვ და მოვედით. თექვსმეტი ძროხა, ხბო, უვლის მე... ყურიმ არ გესმის, ავათ გავხთი და გრიპი და იმიდან ყური არ გესმის ჩემი კარგათ. ხოდა, რა ვქნა, დღეში, დილა-სადამოს ას ოცი ლიტრა წველივარ მე. დილა-სადამოს ას ოცი, ეტა, ლიტრი.

_ხელფასი?

_ სამოცი ლარი. დღეში, დილა-სადამოს ას ოცი ლიტრა წველივარ მე. ცოტა არი, მაგრამ თუ ძველი დრო იქნებოდა, დღეში ასე გავაკეთებდი და ახლა კამუნისტ დრო წავიდა, კამუნისტ დრო ეს ვიყავი, რაიკომი მოვიდოდა და, დრასტი, ასე იყავ. ახლა უპატრონონი ვართ. მაინ შიერი ვართ, აპა! მუშაობა ხო უნდა.

ქათამი მქონდა, კალექტივის ქათამი, მერე ოზდახუთი ზროხა მქონდა. ხუთი გექტარ ზამბა მქონდა, თავისი, ჩემი და ვცხოვრობდით კარგათ და მერე იქიდან ხო დარეკა, ერთი ჭიკა არ ამიღია სახლიდან. ასე მოვედით, ასე გააკეთა უზბეკმა, მარა ახლა შიერი კვდებიან. მე უთხარი, იქიდან ხო გამოვედით, ხუთი წელი ვქამთ ჩვენი მუშაობა და ხუთი წლის შემდექ შიერი კვდების კიდე და ახლა შიერი კვდებიან.

_ ბოსტანი თუ გაქვთ?

_ ახლა? თესამ ახალი. ქინძი, ოხრახუში, პეტრუშკა, რეხანი, ხახვი და მერე დავთესთ მიწის თხილი, მერე სიმინდირი უნდა დავთესოთ, კვანხი.

უზბეკისტანში ვისწავლობდი, შვიდი კლასი დაამთავრე. მერე უზბეკურათ ლაპარაკებდი. მერე როგორც უზბეკი, ასე ვიყავით. რა ვქნათ, სად წახვალ, იმის ქუდი უნდა დავხურო თავზე. ასე ვიყავით. შვიდი შვილი გავზარდე უზბეკისტანში, ორი შვილიმ დაიღუპა. ერთი უზბეკისტანში ავარიამი დაიღუპა, ხოდა, ერთი აქა, აქ მოკვდა. თითონ კაი ბიჩი მყამდა. ოზდარვა წლის იყო, სპორტი იყო. უსფათ მოკვდა. ახლა ხუთი შვილი მყამს კიდე. სამი გოგო და ორი ბიჩი მყამს. ორი გოგომ ყაზახსტანში არიან. ხუთმეტი წელიწადია ერთი არ მინახია. სამეტი წელი ერთი არ მინახია და შარშან მოვიდა. წაიკითხა, წაიკითხა, წაიკითხა, სად არიან ჩემი შობლები და, ხო ომში დაიკარგა ჩემი ბავშვები. ხოდა, მოვიდა, ნავზე და, ხუთმეტი შვილიშვილი მყამს. აქა ორი მყამს. აზარბაიჯანში ორი ბიჩი და ერთი გოგო მყამს. გოგო გათხოვდა აზარბაიჯანში და ბიჩი აზარბაიჯანში ცოლი ყამს და იქ არიან და ჩვენ აქა ვართ.

– პავლე ბიძია სად გაიცანით?

– პავლე, რა ვიცი, ახალგაზდა ვიყავი, ეს ტაშკენტში იყონ ესინები და ჩემი დიშვილი ამათი რძალია და იმიდან იცნობდი და გათხოვდი.

ერთათ ვიყავით, ჩვენ ერთათ ვიყავით. იქიდან გადაასახლა რუსეჩი. რუსეთიდან მოვედით აზარბაიჯანში. აზარბაიჯანში ვეღარ ცხოვრობდით ჩვენ და იქიდან მოვბრუნდით აქა. ამ დროს საბუთი, რამე აღარ უნდოდა და ახლა ვერ წავალ, ვეღარ მოვალ. ახლა ჩემი საბუთი არ არი და იმისი აქ. იმის პასპორტი, მარა, რუსულის პასპორტია და არც პენსია, არც არაფერი, ერთი ბიჩი მუშაოფს ამ ასი ლარი ხელფასი. იმისის ორი შვილი, ცოლი, თითონ და შვიდი წელი სხვის ქოხში ცხოვრობდით ჩვენ, ხოდა, მადლობელი ვარ ჩემი რძალის მამასა, ჩემი ძმასა, ჩემი რძალის დის ქმარსა. ეს ადგილი მიმცა. ადგილ არ მქონდა. სახლის ადგილი არ მქონდა და იმის დის ქმარის მიცა ჩვენზე და მადლობელი ვარ და გააშენეთ ეს სახლი. ხალხი მოეხმარა და გააკეთეს სახლი და ახლა ცხოვროფთ ნელ-ნელა.

ჩემზე ყველაზე ჯობია ჩემი შობლები [სამშობლო]. თუ მოკვდები, ხო ვიცი, ეს ჩემი მამას მიწა. კანეშა აქ ჩემია. კანეშა საქართველო ჯობია. გინდა სომეხი დაწეროს, გინდა ქართველი, გინდა ძალი დაწეროს, მაინც ჩემი მამას მიწა მინდა. ყველაფერსანი საგლასნი.

მე სულ მუშაობა ქალი ვიყავი. ორმოზდახუთი წელი სულ ფერმაში ვარ. ბაკურიანში სამი წელი ვიმუშვე მე. ახალგაზდა ვიყავი, იქანა ღორები ბევრი ქონდა და ხალხიც. ღორებისა ემინია და უკან წავიდა.

– ქართული სად ისწავლე?

– ქართული ბაკურიანში ისწავლე, მერე თავრობა ხო დაამთავრე ფერმა, მე ვაწრობდი, ბავშვები საქმე არ ქონდა, მუშაობა არ ქონდა მავშვებსა. შიერი ხო არ კვდებიენ და თიფლიში ვაწრობდი მე. აზარბაიჯანიდან მიყანდი რაღაცა, რაღაცაები მიყანდი და ვაწრობდი. მე ახლა მუშაობა ხო დავიწყე, დლე დავიწყე მუშაობა. ვაწრობასა ეს სამოცი ლარი მირჩვენია.

– პენსია?

– არ მაქ, ხო უთხარი, არც იმისი, არც ჩემი, არაფერი არა მაქ. პენსია არ არი ჩვენი. უპენსიას ვართ. ხალხი აიღეფს, ხალხი. ვინ ახალი მოვიდა, იმისი არ არი. მარტო ჩვენი არ არის ორთავესი. ყველანი არი პენცია. ჩემი საბუთი არ არი. ტოლკა მეტრიკა კოპია არი ჩემი და ეს ბიჩი მოვალ თიფლიში, ისტავლებს, იმ ბიჩთან არი ჩემი ძველი მეტრიკა კოპია. მარტო ეს არი, მეტი არაფერი.

...ჩემზე ეს თავრობა ჯობია. საკაშვილის გენაცვალე. კიდე უთხარით, მეხმაროს, სამოცი წლის ქალი ვარ, მუშაობა არ შეიძლება, ახლა ძალა არა მაქ, მაგრამ მაინც მუშაოფ, რა ვქნამ აჰა! პენცია არ არი, არაფერი არი და რა ვქნა, მაინც მუშაობა უნდა.

– საქონელი თუ გყავთ?

– სახში? მყამს, ხო უთხარი მე. ჩემი რძალის მისცა, ჩემი ძმა მისცა ერთი. ცოტა არი, ყველის, რამე მეყოფა.

ძროხა ორი მყამს, ორი ძროხა არი და ერთი დეკოულია. ქათამი ყამს, შვიდი ქათამი მყამს, ბატი მყამს, სამი ბატი მყამს. ბავშვები თუ შკოლაშიდან მოვალ, მოხარშან და ჭანთ.

– ქორწინება როგორ ხდებოდა თქვენთან?

– პირველი მიდიან რძალთან, გოგოსთან, სამჯელ, მერე ხო, ხო უთხარით, უჟე მისცა, მერე ბეწედი გაკეთა. პატარა დანიშნული ქორწილი გაკეთა, ბევრი ხალხი დაპატიჟეფს, ოქრო, საათი, ბეწედები, ბევრი ხალხი გვაჩუქეფს. ჩვენთან და თქვენთან ერთია.

პამიდორი არ ჭამდა, ეს რუსის პამიდორიაო და არ ჭამდა უზბეკმა. მერე ისტავლა პამიდორი ჭამა, პამიდორი, ნიორი.

ჩვენთანა შუა აზიაში იყო ბევრი ქართველი გვარი, მაგრამ მაჰმადიანები არიან, ხო. ახლა მე შაქრიძე მაჰმადიანი ვარ. გელაშვილი იყო, მერე კახაძენი იყო, იმასადაც აზარბაიჯანში არიან. ბევრი ქართველი გვარია, მაგრამ მაჰმადიანები არიან.

ჩემი მამას სახლი გააკეთა და ერთი დღე არ იცხოვრა ჩემი მამას სახლი. მამას სახლი არის ჩემი ახლა ანში.

– არავინ ცხოვრობს?

– ცხოვრობს. ემ კაცმა ასე უთხრა ჩემ ძმასა. მოდი შენს სახლში ცხოვრება, მე სამტრედიიაში უნდა წავალთ და ჩემი ძმა არ წავიდა. მე მარტო რა უნდა გავაკეთო იქაო და ჩემ მამას სახლი ისევ ისევ არი. ახალი გაკეთებული და ერთი ღამე არ დაიძინა და როდის მოკვდა ჩემი მამა, ჩემი სოფლიდან ერთი მუჭა მიწა მოვიტანეთ და დაყარეთ ჩემ საფლავზეო. ასე მოკვდა ჩემი მამა. ჩვენი სახლი არი.

**ფატიმა იზეტოვა-მამედოვა; 6 0 წლის;
იანეთის დასახლებაში ჩამოვიდა 1997 წელს;
სამი წელი ცხოვრობდა ბორჯომში.**

აქანა ჩამევედი მე ბიძასთან, ბაქოში ვიცხოვრებდით ჩვენ. აქანა ჩამევედი და მერე ვიცანი გოგო – ზამირა. ვუყვარდით გოგო და მერე იმასქენი.... არ მიცენ გოგო. მამა არ ვიცი, დედა არ ვიცი და რაფერ მივცემ გოგო. თუ არ მიცემენ, უკრალ ეტუ დევუშკუ და, წავედი იანეთში... მანქანით წევედი და მერე დავბრუნდი, იმის ნათესავი არის გოგოსი, იმან წეიყვანა სახში...

...ყურბან ბაირამი სამი დღეია, რამაზან ბაირამი ერთი თვეია. დღეი არ ჭამ საჭმელი საერთოთ, არც წყალი, არც საჭმელი და არაფერი. ერთი თვე, დღეი არ შეიძლება.

**ბახტიარ მამედოვი; 3 0 წლის;
ქართული ისწავლა იანეთში.**

მიცვალებულის გაპატიოსნება

იმ დღეს სრაზუ დაბანებთ, დამარხეფს. მერე დამარხავენ, ხო მოდით, ლოცულოფს, პურმარილი, მაგრამ სამი დღე სახში, არა, მოზებელი მიყამს. საწმელი

რამე. მერე სამ დღეში ტანსაცმელი ხო რეცხამს, იმასაც ლოცულობს, ხალხი რეცხამს ტანსაცმელი, ეს, კვდარის. მერე შვიდი დღე, მერე ორმოცი, მერე წელი. სამი დღე არ შეიძლება სახში საწმელი გაკეთება. მოზებელი მიყამს სამი დღე. ყველა საწმელი ხო გააკეთებს, მიიტანებს კვდარ სახს. თუ სადამოზე მოკვდება, დილამდე შეინახებს.

_სუფრა როგორი იცით?

_ საწმელი? ყველაფერი. ხორცი, ცხვარს კლამს, ხალვა, ხალვა გააკეთე, კამფეტი, პეჩენი, რა ვიცი, ვაშლი, ხილი, ყველაფერი სავსე იქნება სტოლზე.

_შავების ჩაცმა თუ იცით?

_ არა, ჩვენ არ ვიცით. ტოლკა თუ დედამისი ძალიან დამწარდება, შავი შალი დაახურებს თავზე.

ჩემი დროზე ლოცვა არ ქონდა და ახლა ცოტა-ცოტა ვიცი. ჩემი მამა მოლა იყო, შუქი ანთია ჩემ მამას საფლავში, შუქი ანთია, მაგრამ მე არ ვიცი, ჩემ დროზე არ ქონდა. მე მარტო რუსულათ, უზბეკურათ, აზარბაიჯანულათ ვიცი წაიკითხება. ყურანი არ ვიცი.

ფატიმა იზეტოვა-მამედოვა; 6 0 წლის;
იანეთის დასახლებაში ჩამოვიდა 1997 წელს;
სამი წელი ცხოვრობდა ბორჯომში.

თურქული

Biri var idi biri yoğ idi. bir tane ixtiyar dede var idi. Bu ixtiyar dedenin de bir tane ceyil oğli var idi. Bu dede derdini, çox dertliymiş bu adam derdini bir quya söyliyir. Ona her akşam gelip geldiğimi söyliyim. Bir vaxta bu quydan da bir tane yılan çıxıyır. Yılan çıxıyır da bu derdiğini söyliyan da bu da bir tane altun veriyir. Bir zamanda bu dede bu dede xasta oliyir. Bu oğluna dir ki, get oğlum da vele-vele yerde bir yılan deliği var. O quya o yılan deliğine derdin söyle, sene bir tane altun verip gelex. Oni al da gel. Bu oğli der , yaxşı gediyr bu quyu yanına, bu quyda bekliyr vaxtan akşam. bakıyır gerçekten bir yılan çıxıyır.

Bu derdiğini söyliyim, bu da bir altun veriyir. Çocuk düşüniyir ki, bu yılan öldürsem bu altun bena qalır. hepsini zengin olurum. Bir alıyır taşı taşı da bu yılana atıyır ve öldüriyir. sonra geliyr, babası geliyr, sonra əyler, baxıyır, geliyr bu quya, dir ki, yılana gir. Ne ki oldu aramızda sen de gerçi, oğlum öldürdü. Ben de bile-bile öldi. Gel nasıl gittux gene döst olax da bu yılanda qalduriyir yox, sende oğlu acısı varsa bende de quyrux acısı var.

...balux tutmaya biz bir günde gediyririx. Büyük bir havuz var. Oraya gediyrux, bir gün orda qaldırux, balık tuttiyrux, tuttuğumuz zaman alıx gelırux eve. En çoğu Ğorco tuttiyrux. ne ki oliyir oni tuttiyrux. Sporta geziyim ben, boksa geziyim, boksa evropis çempioniyim. Çok seviyirum bu sporti.

Ramazan bayramında oruç tutiyrux bir ay. qurbana bayramı, qurban kesiyirux, qoçtur, kimin varsa deve kesebilirsun, burda yoxtur ama, qurban bayramında üç gün oliyir bayramımızda. Üç gün ne ki əyi bir var, oni yapıyirux.

ხასან ერისთავი; დაბადებული
1984 წელს სოფ. იანეთში.

რუსული

Под руководством Сталином начал второй отечественной война. Тогда мой отец пошел, его забрали в армию да писали фамилия Тайров. А его младший брат, двухродной брат он написан, его фамилия были написан Алиев. Вот такой различие, а наши вроде был и сказали из архивного даннами да говорят Орбидзе была наши фамилия. таким порядком Тайров, Тайров да накопился много, много документов, От этого метрика, до самого конце-концов вышкомного документа, атестации и диплом, проче... проче. Да таким же многих документов Тайров написана. Если та эта изменит да писат Орбидзе, документи все анилируется да уже без документами куда идти, кто нас будет считать что он Грузин. А документ нет. Конце-концов мое лично мнение такое. Независимо фамилия, независимов национальности, надо человеку найти общения, общения другими. другими как найдет общения, пососедствами, по одно посетителями да жит да узнат друг-друга характери и привикать друг-друга.

Наши вот эта сами Месхи, когда выселяли, тогда они ни мечтали что Узбеком быть. Конце-концов в Узбекистане пятнацит лет жили и лично я пятнацит лет жил. прекрасный узбекский язык и знал как своим родной язык. Кончил среднюю школа, отличник медалистом, поступил мединститут там. потом убежал, бросал да, не хороший специальность читал да потом пошел аграномий, аграномия да кончил техникум, потом институт, потом дисертация зашишал и стал кандидатом сельско-хозяйственных наук да и приехал суда. Уже мы здес десятый год живу. Азербайжане трицит шест лет жил, Узбекистане пятнацит лет жил да сеи час данный момент наши если не раздевали бы из средни Азия, наши Месхи, они стали бы чистий эта Узбек. Мода принимали Узбекский, язык узнал прекрасный да мусульманский эта обычия, Оттуда мы переобрели разни культура и флов они как преготавляет и разни блюда. от них изучали и конце-концов и Азербайжанский мода, культура вобще изучали да живем так. Грузинский эта самий уровень, человеческо культура и очен высоко. Надо воспитиват человека постепено, не надо настаиват чтобы сегодня ты доджен стать Грузином. эта никоем случия нельзя. Грузинский язык не знал да сей час узнает и благополученным кончил эта армии.

ბეთულა ტაიროვი, 75 წლის;
იანეთის დასახლებაში ჩამოვიდა 1990წელს.

Short Summary of the Research

Tariel Putkaradze

The Identity of Repatriates from Meskheti

This research, carried out in the Ianeti community, tells a tragic story that should teach us how to live peacefully together !

Who are the ancestors of Meskhets living in this region?

Meskheti was the title of the entire Southern area of Georgia in middle ages. Historical Meskheti included: Samtskhe, Javakheti, Adjara, Klarjeti, Shavsheti, Erusheti, Chaneti, Lazeti, Livana, Machakheli, Kola, Imerkhevi, and both Tao. In connection with the history of Meskheti it is very interesting to know the history of Kartvelian tribes as well:

Who are the ancestors of Meskhets living in this region ?

Meskheti was the title of the entire Southern area of Georgia in the middle ages. Historical meskheti included; Samtskhe, Javakheti, Adjara, Klarjeti, Shavsheti, Erusheti, Chaneti, Lazeti, livana, Machakheli, Kola, Imerkhevi, and both Tao. In connection with the history of Meskheti it is very interesting to know the history of Kartvelian tribes as well: Mushks and Daniels. Based on modern scientific literature, the ancestors of the one part of recent Georgians -Meskhs, are to be considered Mushks/Moskhs and Daiuens/Thaos.

The population of the Meskheti territory underwent several tragic events:

- **The first tragedy was the persecution of Georgian orthodox populations by the Osmals from the south in the XVI-XVII centuries;**
- **The second important event was the tragedy called „ Muhajiroba". in the 1928-29 devoted activists of Russian Empire: Paskevich, Potiomkin, Zavileisk, Bebutov and others, oppressed Moslem Georgians, and forced to them to leave their homes;**
- **The third tragedy was the massacre of orthodox Georgians by Turks and Muslims in 1918 after the announcement of the independence of Georgia;**
- **The fourth tragedy of the Meskhs: in 1944, Communist Government, being in confrontation with Turkey, expelled moslem residents from the bordering regions of Turkey, and sent them to Central Asia.**

Since 1944, these deported Meskhs have commonly been called „**Turkish Meskhs**". According to historical documents, however, the meskhs of Samtskhe-Javakheti who were exiled were not the same group. **What is the important is that Meskhs are a group of Georgians who were exiled.**

("Turkish Georgian" is another misnomer)

Other common names that have a connotation to the "punishment" of 1944 are to be avoided when referring to Georgians: **Turk, Muslim, Georgian, Meskhetian Turk, Tati, Tarakama, Khemshili**. Today, one part of population exiled from Caucasus areas (Georgia, Azerbaijan) consider themselves as Georgians and would like to return to Georgia while another group considers themselves as Turks yet are asking to establish their residence on the territory of Georgia (e.g. " Vatan" members' demands). Of course the issue of

deportation and repatriation is potentially a point of manipulation for the political dissention in the region.

One group of Meskhets exiled in 1944 returned to Georgia in 1982-95. this research is concerns one of those groups, who live today in a small village of Samtredia district in imereti, called the **9th section of the Ianeti community**.

What is the language and Ethnic identity
of the residents in 9th section of the Ianeti community?

Research Design: in order to learn Samtredia district "Ianeti community Meskhs settlement" ethnoculture and research their history we palnned to work with several directions:

- Study phonetics - grammatical -lexical peculiarities of repatriates.
- Make a database of ethno-cultural peculiarities of repatriates.
- Study language and national self-identification peculiarities of repatriates.

With the active assistance of a deported Georgian, Lasha Eristavi, a linguist, Giga Kamushadze: and Kutaisi State University Dialectology Institute member Davit Lomsianidze, 23 families were interviewed and questionnaires were completed at the beginning of 2005.

Questions as followed:

1. (Male) **Family head** name, surname, birth date and place; ancestors and name at deportation;
2. Family composition: wife's name, surname, birth date and place; ancestors and name at deportation;

Parents' names of **Family head** (father -former surname/new surname; mother-former surname /new surname); Children (name, surname, nickname, birth place and date);

3. Where did you live in Meskheta before deportation?
4. Where were you exiled?
5. Profession/education;
6. What is your current job/income?
7. Religious faith: yours/your ancestors' /your childrens';
8. What language do you speak?
9. Mother tongue: yours/ your ancestors' / your childrens';
10. What do you know about your history?
11. Name 3 happy events in your life;
12. Name 3 unhappy events in your life;
13. What do you know about your name (tribe) history?
14. What do you know about Meskhet history ?
15. Which nationality do you have?
16. What can be done in order to improve your everyday life?
17. List names of your dishes: Georgian / Turkish / Central Asian;
18. When did you settle in the Ianeti community?
19. If you were in the parliament of Georgia, how will you build your country?
20. what else do you want to say?

Several answers of the interviewers are described in Georgian text. Three key conclusions are represented in the summary:

- I. The Ianeti Meskhet tragedy follows the pattern of the population's historic misfortunes. **Only** our generation can end the ongoing tragedy;
- II. In spite of two decades that have passed since deportation, the feeling of being an alien population is still strong. For example, the national government does not provide assistance to small deported groups returning to Georgia; there is no sign that repatriates will be supported to live in better conditions in future. The uncontrolled repatriation of large masses could have catastrophic results for the state system of Georgia. At the same time, the state government can now give assistance to those repatriates who were repatriated to Georgia before 1991. Livelihoods and employment activities should be provided for those who are awarded Georgian citizenship and more attention from the third sector will be helpful too.
- III. The whole society should support refugees or repatriates in having access on the specific and necessary information regarding their identity. **Repatriation is a long "process" that includes the acquisition of an identity in the new environment.**

At present:

In order to assist the Ianeti 9th section community members in their process towards integration at the national and international levels, and in order to teach repatriates Georgian language and history and solve juridical problems, and with the recommendation of Dr. Mary Ellen Chatwin (Social policy advisor, Georgia). The European Commission funded the micro project (European Initiatives for Democracy and Human Rights) to establish a " Social Integration Center for Meskhet repatriates" submitted by two organizations: Samtskhe-Javakheti regional association " Toleranti" (Director Tsira Meskhishvili) and the " Georgian Board of Trustees Association" (Director Khatuna Javakhadze). The project duration is 12 months. The local Coordinator of project is a repatriate, Telman eristavi.

The project aims to create a social integration center for Meskh repatriates in the 9th section of Ianeti community, to:

- Teach the state language to preschoolers and adults (teachers: G. Kamushadze, L. Tevzadze)
- Conduct sessions on Georgian cultural history (Prof. T. Putkaradze).
- Provide consultations on legal issues (D. Lomsianidze)...

Other interesting activities are planned, including excursions to historical regions of Georgia. We hope that similar projects will be funded in future, so that the recognition of all its citizens by the Georgian Government will become a reality.